საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცქვაა, ფცქვილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკანონობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 2 აპრილი, 2015 წელი.

№61 (7706)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ლუკა კურტანიძე:

სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება მის ფიზიკურ ლიკვიდაციას გამოიწვევს

6

ირმა ინაშვილი:

ვის მიაკითხავს სიკვდილის „მანქანა“?!

3

უკრაინის პროკურატურამ ექსპრეზიდენტის ექსტრადირებაზე კვლავ უარი განაცხადა

საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირებაზე უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ უარი განაცხადა. ამის შესახებ გენერალური პროკურატურის პრესსამსახური იტყობინება. **„უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ საქმის შესწავლის შემდეგ დაასკვნა, რომ არსებობს რისკები იმისა, რომ საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ სააკაშვილის ექსტრადირების თხოვნა პოლიტიკური მოტივებით მის დევნას ისახავს მიზნად“,** – წერია უკრაინის პროკურატურის განცხადებაში.

უკრაინის გენერალურ პროკურატურაში ასევე აცხადებენ, რომ **სააკაშვილის ექსტრადირების მოთხოვნა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უკრაინულ მხარეს ექსტრადიციის მოთხოვნით ორჯერ მიმართა.**

დავით ლორთქიფანიძე ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატია!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქვეყნოდ აღიარებულ მეცნიერს, არქეოლოგს, პალეონთოლოგს, მეცნიერებათა აკადემიის წევრს, ეროვნული მუზეუმის დირექტორს დავით ლორთქიფანიძეს ულოცავს უცხოელ მეცნიერთათვის გერმანიის სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოს – ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტის პრემიის მიღებას.

დავით ლორთქიფანიძეს ეს ჯილდო მიმდინარე წლის 25 მარტს გადაეცა. აღსანიშნავია, რომ ჰუმბოლდტის პრემია ენიჭება ამა თუ იმ დარგში ფუნდამენტური აღმოჩენებისა თუ თეორიების მნიშვნელოვანი წვლილის მქონე მეცნიერებს. ალექსანდერ ჰუმბოლდტის ფონდი (Alexander von Humboldt-Stiftung) – გერმანიის სახელმწიფოს ფონდი, პრემიის ლაურეატებს აძლევს შესაძლებლობას აწარმოონ კვლევები გერმანიის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში. ქართველ მეცნიერთაგან ჰუმბოლდტის პრემიით სხვადასხვა დროს დაჯილდოვდნენ ენათმეცნიერები – ზურაბ სარჯველაძე და თამაზ გამყრელიძე, არქეოლოგი ოთარ ლორთქიფანიძე და მათემატიკოსი თეიმურაზ ფირაშვილი.

გულითადად ვულოცავთ ბატონ დავითს ამ ჯილდოს, რაც მთელი ქართული მეცნიერების კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარებაა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ბესიკ სარჯიანი, როგორც სამოქალაქო ომის წინათგრძნობა

5

ჯონი გიგანი:

ბიზნესმენები ყველაზე სუსტები ვართ, გაგვიფრთხილდით!

3

ვის სჭირდება

4

არაკომპეტენტური მრჩევლები საჯარო დაწესებულებებში?

„ქართული ერთობის“ კონგრესი გათუმში

სიყვარულით ბორბლების დასამარცხებლად

2

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია 6 აპრილიდან ახალ მისამართზე განაგრძობს მუშაობას - მაჩაბლის ქ. №7, (სოლოლაკი, მაჩაბლისა და ლერმონტოვის ქუჩების გადაკვეთაზე).

ტელ: 2 93-37-87; 5 99 79-76-79; 5 68 82-09-84.

IRI-ის კვლევა

ეკონომიკური კეთილდღეობა თუ დემოკრატიული მმართველობა?

არჩევანი ასეთია

სხვა თემაა, ვინ არ ენდობა ან ენდობა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის, IRI-ის გამოკითხვებს, მაგრამ ასეთი კვლევების მიმართ ინტერესი ყოველთვის დიდია. რეიტინგები არაფერს ნიშნავსო, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, თუმცა, ფაქტია, რომ ეს ერთგვარი ტესტია — ქვეყანაში შექმნილი რეალობის დასანახად.

მაშ ასე: 1500 ადამიანი პირდაპირი ინტერვიუს გზით 3-დან 28 თებერვლის განმავლობაში გამოიკითხა, ხოლო მათი დამოკიდებულება პროცენტებში შემდეგნაირად გადანაწილდა. მთავრობის მუშაობა გამოკითხულთა ნახევარსაც კი არ მოსწონს, ხოლო პრემიერ-მინისტრის ოფისის საქმიანობა ასევე 45 პროცენტისთვის არის მისაღები, სამაგიეროდ, თითქმის 40 პროცენტს არ მოსწონს. კითხვაზე — მხოლოდ ერთის არჩევა რომ შეგეძლოთ, რომელი უფრო მნიშვნელოვანია — დემოკრატიული მთავრობის სისტემა თუ აყვავებული ეკონომიკა, არჩევანი ამ უკანასკნელზე გაკეთდა. მართლაც, დღევანდელ ხელისუფლებას არადემოკრატიულობაში რომ დასდო ბრალი, უსინდისო უნდა იყო, მაგრამ დემოკრატიულმა მმართველობამ ქვეყნის ეკონომიკას წარმატებები რომ ვერ მოუტანა, თვალშისაცემი ფაქტია...

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი, ალბათ, ამიტომაც მიიჩნევს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით არ ვითარდება. გასულ წელს ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იყო. მაშინ გამოკითხულთა მესამედი აკეთებდა აქცენტს ქვეყნის არასწორ განვითარებაზე. დღეს გამოკითხულთა 20 პროცენტს ამ კითხვაზე პასუხი არა აქვს, რაც თავისთავად დამაფიქრებელია.

ადამიანები ამბობენ, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, რაზეც გავლენას ახდენს ლარის კურსის ვარდნა. გაგიკვირდებათ, მაგრამ გამოკითხულთა შორის ისეთებიც აღმოჩნდენ, რომელთა აზრით ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში გაუმჯობესდა (სულ რაღაც 7 პროცენტი ფიქრობს ასე). **რაც შეეხება მიღწევებს; პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ჯანდაცვის პრობლემის გადაწყვეტა — 26 პროცენტი, საყოველთაო დაზღვევის დანერგვა — 8 პროცენტი, აგრარული პრობლემების მოგვარება — 03 პროცენტი... რაც შეეხება მთავარობის მთავარ წარუმეტებლობას, — გამოკითხულთა 26 პროცენტის აზრით, ეს შეუსრულებელი დაპირებებია.**

რა მოლოდინები აქვს საქართველოს მოსახლეობას მთავრობისადმი: სამუშაო ადგილების შექმნას ელოდება 19 პროცენტი, ეკონომიკის გაძლიერებას — 15 პროცენტი, ხოლო სამართლიანობის აღდგენას 7 პროცენტი.

წინა კვლევების მსგავსად, გამოკითხულთა უმრავლესობა საქართველოს მთავარ მოკავშირედ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო საფრთხედ რუსეთს განიხილავს. 62 პროცენტი ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანების მომხრეა, 9 პროცენტი კი — წინააღმდეგი. ევროკავშირთან ურთიერთობის კონტექტსში აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მესამედი ასოციირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ ეკონომიკურ განვითარებას ელის, 16 პროცენტი — უვიზო მიმოსვლას, ამაზე ცოტა ნაკლები — ქვეყნის უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას, ხოლო ცხრა პროცენტი ფიქრობს, რომ ცხოვრების დონე უფრო კარგ ნიშნულს მიაღწევს.

საქართველოს ეკლესიის საქმიანობა კვლავ მაღალ ნდობას იმსახურებს, მხოლოდ 3 პროცენტისთვის არის ის მიუღებელი. აღსანიშნავია, რომ IRI-ის ოფიციალურ ვებგვერდზე არ გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომელიც პოლიტიკოსთა ნდობის მაჩვენებელის კითხვარს შეიცავს. თუმცა, გასულ კვირას მედიით გავრცელდა არაოფიციალური ინფორმაცია, რომლის მიხედვით მაღალი რეიტინგით საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო სარგებლობენ. მესამე ადგილზეა ირაკლი ალასანია, მეოთხე ადგილს კი 56-56 პროცენტით პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე იყოფენ.

IRI-ის მტკიცებით, კვლევის შედეგების ცდომილება 2,5 პროცენტია. ვენდობით თუ არ ვენდობით, ეს ჩვენი გადასაწყვეტია. მაგრამ ეს მონაცემები მათთვის არის, ვისაც სჯერა... ჰოდა, ვისაც სჯერა, გაატარეთ.

თეა მოსია

„ქართული ერთობის“ კონგრესი ბათუმში

სიყვარულით ბოროტების დასამარცხებლად

27 მარტს, გელათისა და თბილისის შემდეგ, ბათუმის ისტორიულ ბულვარში განთავსებულ საზაფხულო თეატრში გაიმართა „ქართული ერთობის დარბაზის“ ბათუმის კონგრესი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აჭარიდან, თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასულმა 1500-ზე მეტმა მეცნიერების კულტურის, განათლების, სპორტის, მედიცინის წარმომადგენელმა .

კონგრესის დაწყებამდე „ქართული ერთობის დარბაზის“ დამფუძნებლებმა და კონგრესის საორგანიზაციო საბჭოს წევრებმა პატივი მიაგეს მემედ აბაშიძისა და ილია ჭავჭავაძის ძეგლებს. სიმბოლური მსვლელობა გამართეს საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სახელობის ახლადგახსნილ გამზირზე.

კონგრესმა განიხილა ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხები და მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

კონგრესმა მხარი დაუჭირა ბათუმისა და სხალთის მიტროპოლიტ მეუფე დიმიტრის წინადადებას საქართველოს ერთიანობისათვის თავდადებული და ამ საქმეს შეწირული სელიმ ხიმშიაშვილის მთაწმინდის მოღვაწეთა პანთეონში გადასვენების თაობაზე.

კონგრესმა მხარი დაუჭირა ინიციატივას, რომ აღსრულდეს პოეტ მურმან ლებანიძის ანდერძი და ქუთაისისა და თბილისის შემდგომ, ბათუმში დაიდგას დავით აღმაშენებლის ძეგლი.

კონგრესმა წარმოადგინა წინადადება ბათუმში აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების მემორიალის დადგმასთან დაკავშირებით

კონგრესმა თავისი პოზიცია გამოხატა დღევანდელ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით. ხაზი გაესვა, რომ ნაცვლად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსზე მუშაობდნენ სპეციალისტები და საქმის მცოდნე ადამიანები, მისი მონოპოლიზება მოახდინეს პარტიებმა, რომლებიც ცდილობენ კოდექსი საკუთარ თავზე მოირგონ, რაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას შეუძლებელს გახდის.

კონგრესმა გამოხატა პოზიცია რეგიონული მართვის პრაქტიკასთან დაკავშირებით. მიზანშეწონილად მიიჩნია ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისთვის უფლებამოსილების გაზრდა.

კონგრესმა განიხილა და მოიწონა წინადადება მსუბუქი დანაშაულისთვის ბრალდებული ქალებისა და ბავშვების , ასევე ტუბერკულოზით დაავადებული პირების სასჯელისგან განთავისუფლების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მცდელობით მსგავს დანაშაულობათა რაოდენობა 10-ჯერ შემცირდა, ამ დაავადების პრევენციის მიზნით მიზანშეწონილი იქნება მსუბუქი სასჯელის მქონე ავადმყოფი პატიმრები განთავისუფლდნენ სასჯელისაგან. აღინიშნა, რომ ამ თხოვნით „ქართული ერთობის დარბაზის“ თავმჯდომარემ ბატონმა რეზო ჩხეიძემ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ მიმართა საქართველოს პრეზიდენტსა და პარალმენტის თავმჯდომარეს, თუმცა, მათგან პასუხი არ მიუღია.

კონგრესმა განიხილა საკითხი სააქციზო გადასახადის შესახებ. ითქვა, რომ ქვეყანაში დამკვიდრდა მავნე ტრადიცია ბიუჯეტის შევსებისა აქციზების ხარჯზე, ანუ მოსახლეობის ჯიბიდან ამოღებული თანხების ხარჯზე და არა მეწარმეობის განვითარებისა და მეწარმეებისათვის ხელშეწყობის ხარჯზე, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის დამანგრეველია და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებას იწვევს. დღეს ხომ უპირველესი საზრუნავია ქართველი მეწარმის მხარდაჭერა და ადგილობრივი წარმოების განვითარება და არა იმპორტის ზრდა საკუთარი წარმოების დაჩაგვრის ხარჯზე.

კონგრესმა კიდევ ერთხელ დაადასტურა რა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული როლი და განათლების დიდი მნიშვნელობა ძლიერი ქვეყნის შენების საქმეში, „ პატივდების სიგელებით“ დააჯილდოვა ბათუმისა და სხალთის მიტროპოლიტი მეუფე დიმიტრი და აჭარის განათლების რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელი ბატონი ვანო პაპუნიძე.

კონგრესმა უარყოფითად შეაფასა ქვეყანაში დამკვიდრებული კადრების შერჩევის სისტემა, ხაზგასმით ითქვა, რომ კადრების შერჩევის სისტემა მოძველებულია და ძირითადად ნათესავებისა და მეგობარ- ახლობლების დაწინაურებაზეა დაფუძნებული. კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, „ქართული ერთობის დარბაზის“ რეგიონული ხელმძღვანელი ორგანოს ახალი სისტემით შერჩევისა . სრული კონსენსუსით შეირჩა სხვადასხვა ჯგუფების მიერ რეკომენდებული რვა პიროვნება, რომლებიც თავის მხრივ, ასევე სრული კონსენსუსით აირჩევენ საბჭოს ყოველ შემდგომ წევრს, სანამ წევრთა რიცხვი არ მიაღწევს თხუთმეტს. გადაწყდა, რომ მომავალ ზუგდიდის კონგრესს განსახილველად წარედგინება კადრების შერჩევისგან სრულიად განსხვავებულ სისტემა.

კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, შეიქმნას „ქართული ერთობის დარბაზის“ აფხაზეთის რეგიონული ორგანო. მისი ორგანიზება ეთხოვა სოხუმის მკვიდრს ბატონ მურად ანჯაფარიძეს. აჭარისა და აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეები, ბატონები ნიაზ ბოლქვაძე და მურად ანჯაფარიძე აირჩიეს რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელ ორგანოში .

მომავალი კონგრესი ჩატარდება ზუგდიდში, აპრილის ბოლოს.

„ქართული ერთობის დარბაზის“
პრეს-ცენტრი

◎ განსჯა

ჯონი გიგანი: ბიზნესმენები ყველაზე სუსტები ვართ, გაგვიფრთხილდით!



ბიზნესმენი ჯონი გიგანი აცხადებს, რომ ბიზნესმენებს საფრთხე ემუქრებათ არა მხოლოდ ყოფილი, არამედ მოქმედი ხელისუფლებისგანაც. მისივე თქმით, კლავენ იმათ, ვის საქმეშიც დღეს მოქმედი სახელმწიფო მოხელის დანაშაული გამოიკვეთება. ბიზნესმენი თვლის, რომ სანამ ის პირები იქნებიან ხელისუფლებაში, რომლებიც გია უდესიანს მფარველობენ, დაკითხვებით არაფერი შეიცვლება, რადგან უდესიანი ისევ დაუსჯელი დარჩება.

ჯონი გიგანი ერთ-ერთია, რომელიც უდესიანს მისი მკვლელობის ორგანიზებაში ადანაშაულებს. მისივე თქმით, გია უდესიანმა წლების წინათ ესროლა, მაგრამ კბილაშვილის პროკურატურამ საქმეს მსვლელობა არ მისცა. ბიზნესმენი ამბობს, რომ უდესიანმა მას 3 მეტრის სიშორიდან ესროლა და ტყვიამ შუბლთან გაუარა. უკვე ცნობილია, რომ გიგანი პროკურატურაში დაკითხვაზე იმყოფებოდა და მას კითხვები გია უდესიანთან დაკავშირებით დაუსვეს.

რაში ადანაშაულებს ყოფილ გენერალურ პროკურორს და მის მოადგილეს, რატომ ურჩევს პრემიერს გადადგომას და რატომ დაიწყო ბიზნესმენების მკვლელობა ქვეყანაში? ამ საკითხებთან დაკავშირებით დღეს ბიზნესმენი ჯონი გიგანი გვესაუბრება.

— ბატონო ჯონი, რატომ დაიწყო ასეთი პროცესები ქვეყანაში, ვინ დგას ამის უკან?

— ძალიან ცუდი მდგომარეობაა ქვეყანაში შექმნილი. საკუთარ სადარბაზოში მოკლეს ბიზნესმენი. ნაციონალების დროს ბესო ხარძიანი საკუთარმა ბიზნეს-პარტნიორმა დაამწყვდია, დღე და ღამე სცემდა და ამ გზით აიძულებდა საკუთარი ქონების გადაფორმებას, თუმცა, ამის მიუხედავად, ვენდეტაზე ლაპარაკი არ ყოფილა. ვენდეტაზე რომ ეფიქრა, ვენდეტის წესიდან გამომდინარე, ციხიდან გამოსვლის პირველივე დღიდან უნდა ეზრუნა, რომ უდესიანი თავის ადგილზე ჩაერეცხა, მაგრამ, ეს არ უნდოდა და სამართლებრივი გზით წავიდა. ერთ რამეს უნდა მივხვდეთ, საქართველოში ვისაც ბიზნესი აქვს, ის ძალიან უსუსურია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, შემდგარი ქვეყანა არ ვართ. ერთხელ და სამუდამოდ, ჩვენ ეს უნდა გავიგოთ, რომ ბიზნესმენს არავისი ყაჩაღობა და მით უმეტეს არც ვენდეტა ხელს არ აძლევს.

რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს, მოხდა ის, რომ ნაციონალების დროს გაჩინოვნიკებულმა უდესიანმა, ხოლო ახლა, უკვე, ნარკომანმა ჩინოვნიკმა ნაცვლიშვილმა გაანადგურეს ოჯახი.

„ოცნების“ მხარდამჭერებმა მოვიყვანეთ და დავსვით პროკურორად ადვოკატი კბილაშვილი, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული მოვალეობა შეესრულებინა. არც ერთი კანონი არ შეასრულა ამ მოთრეულმა კაცმა. მაპატიეთ ასეთი გამოთქმისთვის, მაგრამ მოთრეულია ის, რომელიც კანონს არღვევს. დღეს რა ვითარებაც არის, სწორედ, რომ გამოიწვია მისმა უმოქმედობამ. დღეს ბიზნესმენები იცით როგორ მდგომარეობაში ვართ? — აი, როგორც კრავები, ისე ვართ. ნაციონალებს აწყობთ, რომ მოკვდნენ ბიზნესმენები, იმიტომ, რომ უნიათო უწოდონ „ოცნებას“. „ოცნებას“ აწყობს იმიტომ, რომ „ოცნების“ ჩინოვნიკებმა, რაც ფულები აკეთეს, ეს ფაქტი დამალონ ბიზნესმენებმა. ახლა მითხარით, ჩვენ რა ვქნათ? როგორც ბესო ამბობდა, თუ ნაცვლიშვილმა აიღო ფული, კბილაშვილს და ამ ჩინოვნიკებს არ აწყობთ მოკვდნენ ეს ბიზნესმენები, რომ არ ჩაუშვან? — აწყობთ. ჩიხშია ქვეყანა შესული. ამიტომ დროზე გამოვცვალოთ ეს ჩვენივე მოყვანილი ხელისუფლება.

— ნაცვლიშვილის თემას რომ დავუბრუნდეთ, ნაცვლიშვილი იმდენად გავლენიანი ფიგურა იყო, რომ ფული აეღო და ამის სანაცვლოდ შეეჩერებინა საქმის გამოძიება? რომ არა ხელისუფლების ნება, დამოუკიდებლად მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას? მაშინ პრემიერ-მინისტრი იყო ბიძინა ივანიშვილი...

— ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა იმიტომ, რაც გააკეთა — თქვა კიდეც, მოვდივარ იმიტომ, რომ ეშველოს იმ უბედურებას, რაც ქვეყანაში ტრიალებს და ორ წელიწადში წავალო. წავიდა კიდეც, მაგრამ აი, თვითონ ივანიშვილმა ვინც დატოვა, მათ როგორც თხა, ისე გაყიდეს.

— საზოგადოების ნაწილი ყველაფერ იმაზე, რაც ხდება, პასუხისმგებლობას ივანიშვილს აკისრებს...

— მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა არის ივანიშვილზე, მაგრამ ეს ყველაფერი მის წინააღმდეგაა მიმართული. მინდა, მივმართო ბატონ ბიძინას, ჩემი თხოვნაა: იქნებ, სასწრაფოდ გაუშვათ ესენი და მოიყვანოთ გუნდი, რომელიც გყავთ.

საბოტაჟი ხომ არის და არის, მაგრამ უფრო უარეს დღეში ჩავარდება ბატონი ბიძინა, თუ ახლა ამ სიტუაციას არ მიეხედა.

ერთი მოკლეს, მეორე მოკლეს, მესამესაც მოკლავენ და კლავენ საქართველოს დამაქცევრები და კორუფციონერები. ვისაც ბიზნესის ნიჭი არ აქვს და ფული უყვარს, აი, ეს ხალხი ღუპავს ახლა საქართველოს. იცით, რატომ უნდათ ასე ძალიან მთავრობაში მოსვლა? — იმიტომ, რომ ბიზნესში არაფერი არ გამოუვიდათ და მოდიან მთავრობაში იმისთვის, რომ ადვილად მოიპარონ ფული.

— ბატონო ჯონი, როგორც ცნობილია, წლების წინათ თქვენც გესროლათ უდესიანმა, თქვენ მიმართეთ პროკურატურას საქმის გამოძიების მიზნით. აღიძრა საქმე თქვენი განცხადების საფუძველზე?

— უდესიანი მაშინ რომ დაეჭირათ, ეს კაცი დღეს ცოცხალი იქნებოდა. მე ხელს არ ვადებ უდესიანს, ვამბობ იმას, რასაც ამბობს ბესოს ოჯახი და ვეთანხმები მათ. რა თქმა უნდა, უდესიანს ჭკუა არა აქვს, შეიძლება, ვიღაცა იყენებს და მერე ჩვეულებრივად უდესიანიც გაქრება, მერე ნაცები ყველაფერს დააბრალებენ ამათ და ასეთ სიბინძურეში უნდა ვიყოთ მთელი ცხოვრება.

რაც შეეხება ჩემს ფაქტს, ვიღაცა რომ მკლავს, მიზეზი ხომ უნდა არსებობდეს, რატომ მკლავს? ეს ამათმა არ გამოიძიეს. შევიტანე განცხადება პროკურატურაში, მაგრამ გარეწარმა ნაცვლიშვილმა და კბილაშვილმა დაკითხვაზე არ დამიძახეს. არ დამიძახეს იმიტომ, რომ დიდი ფული აიღეს. ნაცვლიშვილს რომ ვერ ვიჭერთ, ყაჩაღს რომ ვერ ვიჭერთ, ამიტომაც გვაქვს კარგად საქმე. უკუღმა ვცხოვრობთ.

— თქვენ იზიარებთ ხარძიანის დის განცხადებას, რომ ეს მკვლელობა უდესიანმა შეუკვეთა?

— ვიზიარებ. ბესოს მკვლელობა აწყობდათ ნაციონალებს და იმ ჩინოვნიკებს, რომლებმაც უდესიანისგან აიღეს ფული და დღეს მთავრობაში არიან. ყველანი დამნაშავეები არიან, მაგრამ საერთო პასუხისმგებლობა მთავრობას აქვს. ამიტომ, ვთხოვ ივანიშვილს, სანამ მეორე, მესამე და მეოთხე ბიზნესმენს არ მოკლავენ, მიხედოს ამ საქმეს.

— რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას, ასეთი დაუცველები არიან ბიზნესმენები დღეს ქვეყანაში?

— ბიზნესმენი და ნებისმიერი მოქალაქე დაცული მაშინ არის, როდესაც კანონი კანონობს, პროკურატურა და პოლიცია თავის მოვალეობას ასრულებს. რომელიმე საქმე გამოიძიეს? ვინც დასაჭერი იყო, დაიჭირეს? ბიზნესმენებმა ბანდები შევქმნათ? ვერ შევქმნით ჩვენ ამას იმიტომ, რომ პერსპექტივა არ აქვს. ძალა ჩვენ არ გვაქვს, ჩვენ მარტო ფულს ვიხდით ბიუჯეტში, მერე იმ ფულს ხალხი და დაქირავებული ჩინოვნიკები მოიხმარენ. ჩვენ, ბიზნესმენები ყველაზე სუსტები ვართ, დამიჯერეთ ასეა. ასეთ დღეში იყო ბესო და როგორც კრავი ისე მოკლეს. ამას ჰქვია ჩიხი.

— ბატონო ჯონი, თქვენ ახსენეთ ლაშა ნაცვლიშვილი, მაგრამ ბესო ხარძიანის მეგობრებმა დაასახელეს ზვიად ჯანყარაშვილის გვარიც. ხარძიანი ახსენებდა ჯანყარაშვილს?

— არავის არ ვადებ ხელს, არც ჯანყარაშვილს, არც თამაზაშვილს და არც ვინმეს. მაგრამ ნაცვლიშვილი და კბილაშვილი იმდენად გამოძერწილი თახსირები არიან, რომ ყველას ჩათრევა შეუძლიათ. ჯანყარაშვილს სულ ორჯერ შევხვდი, არა მგონია, რომ ასეთ რამეებში იყოს გარეული, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხალხის განცხადებას რაღაცა საფუძველი ყოველთვის აქვს. ზუსტად, რომ ჯანყარაშვილმა, თამაზაშვილმა და პრემიერის ოჯახმა ეს ტრაგედია თავის თავზე არ აიკიდონ, უნდა მიხვდნენ, რომ გაეცალონ ამ სიტუაციას...

— შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი არის პრემიერის და მთავრობის გადადგომა?

— ვეკითხები პრემიერ-მინისტრს, მისი პრემიერობის დროს რატომ ხდება ასეთი საქმეები? საერთოდ, ან რანაირად უნდა გადადგეს, გგონიათ, რომ ახლა პრემიერად ზის? — არაფერს არ აკეთებს და გადასადგომი რა აქვს ამ კაცს?! რამე გაუკეთებია, ან მიკეთებს ეს კაცი? — არაფერს არ აკეთებს! გავგიჟდი, ასე როგორ შეიძლება, წავიკითხე, რომ სახელს უფუჭებთ პრემიერ-მინისტრს და მის ოჯახსო, სახელს კი არ ვუფუჭებთ, პირიქით, ვეხვეწები სახელი არ გაიტეხო, მიხედე ამ საქმეს, დაგვანახე ვინ არის ცუდი და ვინ კარგი. უკვე არის ეჭვი, რომ ეს ხალხი გარეულია ამ უბედურებაში. თუ ვაუკაცია, აიღოს თავის თავზე და კაცურად გაიტანოს ბოლომდე, რისი ეშინია, თუ ჰგონია, რომ მაგას არ მიადგებიან? ლაპარაკია კერძო საკუთრებაზე, რომელიც ირღვევა, ადამიანის უფლებები ირღვევა და რომელ გადადგომაზეა ლაპარაკი?! ლაპარაკია მოქმედებაზე, უნდა იმოქმედოს, მაგრამ არ მოქმედებს. თუ არ იმოქმედა ჩვეულებრივად, მინიმუმ, მონაწილე გამოდის. იმოქმედოს, თორემ ხალხი როგორც ნახირი, ისე გადარეკავს მაგათ, ნაცები მიმიქარავს, ისე გადარეკავენ.

— შესაძლებელია თუ არა, რომ დაიწყოს უმართავი პროცესები და მაფიოზურ გარჩევებს დაემსგავსოს პროცესები?

— არავინ იფიქროს, რომ ხარძიანის ოჯახი შურს იძიებს, არა ბატონო. მას ჰყავს ძმა, რომელიც, ბესოს დაჭერის შემდეგ გია უდესიანმა თავის კაბინეტში მიიყვანა და სასტიკად სცემა, ოჯახი დაატერორა. ციხეში ბესოს სცემდნენ და გარეთ — მის ძმას. ჩემთან იყო მოსული და ფანჯრიდან იყურებოდა, შევეკითხე, რა გჭირს-მეთქი და მეშინია, ვინმე ხომ არ მომყვაო, ასეთ დღეშია. 8 ტერაქტი მაქვს გადატანილი და არც ერთი გამოძიებული არაა. დამიჯერეთ, რომ ბიზნესმენის გარეშე სახელმწიფო წინ ვერ წავა. ყველა ვერ აკეთებს ბიზნესს, ამ ხალხს უნდა გაუფრთხილდნენ!

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

◎ SIC!

ვის მიაკითხავს სიკვდილის „მანქანა“?!

„პატრიოტთა ალიანსის“ გენერალურმა მდივანმა, ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მისი სიცოცხლე სააკაშვილმა 100000 დოლარად შეაფასა და რეალური საშიშროების წინაშე იმყოფება.

იური ვაზაგაშვილისა და ბესო ხარძიანის ცინიკური მკვლელობების შემდეგ საზოგადოებაში დაუცველობის განცდა თანდათან მატულობს - ბევრი ფიქრობს, რომ სიკვდილის „მანქანა“ სხვებსაც მიაკითხავს და შეკვეთილი მკვლელობების სერიალი გაგრძელდება!

შეკვეთების კვალი სადაც და ვისთანაც არ უნდა ვეძებოთ, ერთი რამ ფაქტია: საზოგადოება იმ შეცდომებს იმკის, რაც მან 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე დათესა. ნაცზონდერების სახელისუფლო საჭეს ფორმალურად მოცილებით გამოწვეულ ხბოს აღტაცებას დიდხანს არ ჩაუვლია და „ქართული ოცნებით“ გაბრუებულებმა ვერ გავიაზრეთ, რომ ცხრათავიან დევს ცხრავე თავი თუ არ გაუჭეჭყე და „საკონტროლო გასროლაც“ არ მიაყოლე, მაცოცხლებელ წყაროსაც გადაკეტავს და საჭიროების შემთხვევაში სულსაც გაგაფრთხობინებს!

დაქირავებული ქილერებისგან საზოგადოება არასდროს ყოფილა ბოლომდე დაზღვეული, მაგრამ სხვა თემაა, როცა სიკვდილის აჩრდილი თითოეულ მოქალაქეს თან დაჰყვება და მუდმივად არსებობს კითხვა: ვინ იქნება შემდეგი?!

არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რას ემსხვერპლნენ ბესო ხარძიანი და იური ვაზაგაშვილი, ან რატომ შეფასდა ირმა ინაშვილის სიცოცხლე 100000 დოლარად, უფრო მნიშვნელოვანია, როგორ ვუპასუხებთ ჩვენ კარს მომდგარ სიკვდილის „მანქანებს“ და რამდენად შესაძლებელია გახმაურებულ მკვლელობათა სერიალის შეწყვეტა?!

ამ შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის ხელისუფლებას, რომელსაც ყველა ბერკეტი აქვს ამის აღსაკვეთად და რომელმაც თავისი ლოიალობით მაფიოზურ სიცილიას დაამსგავსა საქართველო!

თუმცა, არანაკლები როლი აკისრია თვით საზოგადოებას, რომლის წიაღიდან იშვა დღევანდელი ხელისუფლება და რომელმაც საზოგადოებისვე უნიათობით (საღათას ძილში ყოფნით) თვითდინებაზე მიუშვა სახელმწიფოს მართვის ბერკეტები, რომ არაფერი ვთქვათ ყბადაღებულ კოჰაბიტაციაზე და არსებული სისტემის საკუთარ ტანზე მორგებაზე!

ჩვენ გარკვეული სიფრთხილით ვეკიდებოდით ირმა ინაშვილის ინიციატივას რუსთაველის გადაკეტვისა და კარვის ქალაქების მოწყობის თაობაზე, რადგან პრობლემა იმდენად გლობალურია, რომ ერთი პოლიტიკური დაჯგუფების ძალისხმევას ნამდვილად აღემატება. თუმცა, საზოგადოების განწყობა და ხელისუფლების დამოკიდებულება სიკვდილის „მანქანის“ მიმართ გვაფიქრებინებს, რომ ერი ერთ მუშტად უნდა შეიკრას და განგაშის ზარები დაარისხოს!.. და ეს რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს.

... რადგან, ჩვენ არ ვიცით, ვინ იქნება შემდეგი, ჩვენ არ ვიცით, უახლოეს მომავალში ვის მიაკითხავს სიკვდილის „მანქანა“!

ანდრია ლისაშვილი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. იგი განსაზღვრავს პოლიტიკას და აქტიურად არის ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მასზე ინფორმაცია საჯაროა და ეჭვის ნიშნებიც კი არ ჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რა საჭიროა ამ ინსტიტუტის არსებობა...

მაგრამ რა ხდება საქართველოში? თითქმის უმრავლეს შემთხვევაში მრჩევლებად ინიშნებიან ადამიანები, რომელთაც არანაირი ექსპერტული გამოცდილება არა აქვთ. პროტექციონიზმი და ნეპოტიზმი, სასურველი ადამიანის დასაქმების საუკეთესო საშუალება, აი, რა არის ჩვენში „მრჩევლის ინსტიტუტის“ რეალური დანიშნულება. ასე იყო ყველა ხელისუფლების დროს, ასეა დღესაც! მაგალითად, როცა ნაციონალური ხელისუფლების დროს ეკონომიკის მინისტრად ვერა ქობალია დანიშნეს, მას ჰყავდა მრჩევლები, რომლებმაც ეს პოსტი ივანე მერაბიშვილის ბრძანებით დაიკავეს, ასევე სუსის უფროსის ლილუაშვილის ბრძანებით... ტრადიცია გრძელდება!

ორი დღეა, ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლუკა კურტანიძის მეუღლე დაინიშნა მრჩეველად თავდაცვის სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით. ქალბატონი ხათუნა დიდი ხანია, ამ სფეროში აქტიურად მუშაობს, ამიტომ წესით, ამ დანიშვნას კითხვის ნიშნები არ უნდა გამოეწვია, მაგრამ არის მთავარი კითხვა: რისთვის სჭირდება მინისტრს მრჩეველი საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში, როცა მას ამისთვის მთელი დეპარტამენტი ჰყავს, მაშინ ათობით თანამშრომელი ვის და რას ემსახურება?

გუშინ თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საინტერესო კვლევა წარმოადგინა, რომელიც საჯარო დაწესებულებებში მრჩევლის ინსტიტუტს შეეხება.

IDFI შეეცადა, გაერკვია, თუ ვისგან იღებენ მინისტრები, მინისტრის მოადგილეები და სხვა საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას რჩევებს, როგორია მრჩეველების სამუშაო გამოცდილება, რა მოვალეობები აკისრიათ და რამდენია მათი შრომითი ანაზღაურება. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ მრჩეველთა ფუნქცია-მოვალეობების განსასაზღვრავად.

კვლევა ეყრდნობა IDFI-ის მიერ საქართველოს 95 საჯარო დაწესებულებიდან მოთხოვნილ და მიღებულ საჯარო ინფორმაციას. იგი ძირითადად მოიცავს პერიოდს 2014 წლის სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით, თუმცა, რიგ შემთხვევები გამოყენებულია 2014 წლის დეკემბრისა და 2015 წლის იანვრის მონაცემებიც. ამასთან, კვლევის პროცესში გაანალიზებულია მინისტრების, მინისტრების მოადგილეების 2011-2013 წლებში მოქმედი მრჩევლების შესახებ IDFI-ისთვის მოწოდებული ინფორმაციაც.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საჯარო უწყებებს მრჩევლების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების არაერთგვაროვანი პრაქტიკა აქვთ. IDFI-ის საჯარო დაწესებულებებიდან მოთხოვნილი ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არასრულყოფილი სახით მიაწოდეს.

გამოვლინდა შემთხვევები, როცა საჯარო დაწესებულებაში საშტატო ნუსხით გათვალისწინებული მრჩეველის თანამდებობა დაკავებულია, თუმცა, მრჩეველის სამუშაო აღწერილობა განსაზღვრული არ არის.

მინისტრის, მინისტრის მოადგილის მრჩეველის სამუშაო აღწერილობების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ რიგ სამინისტროებში მინისტრის მრჩეველს იგივე ფუნქცია აკისრია, რის შესასრულებლადაც ამავე უწყებაში ცალკე დეპარტამენტია შექმნილი. მრჩევლები ზოგიერთ სამინისტროში თანაშემწის მოვალეობას ასრულებენ ან მათი ფუნქციები გადაზრდილია ტექნიკური პერსონალის ფუნქციებში, რაც საჯარო დაწესებულების რესურსების არაეფექტურ გამოყენებაზე მიანიშნებს.

არის შემთხვევები, როდესაც საჯარო დაწესებულებაში მრჩევლების ფუნქცია-მოვალეობები საერთო ან/და ძალიან ზოგადია ყველა მრჩევლისთვის. მაგალითად:

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს 2014 წლის 26 სექტემბრის მდგომარეობით სამი მრჩეველი ჰყავს. სამივე მათგანს კონსულტაციის გაწევასთან ერთად ევალება ისეთი ზოგადი ფუნქციების შესრულება, როგორიცაა სამინისტროს საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა, ახალი ინიციატივების წარმოჩენა, სამინისტროს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე დასწრება ან საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივად ზრუნვა. თუკი კულტურის მინისტრის მრჩეველი საკუთარ კარიერაზე ზრუნავს, საინტერესოა, რა რჩევებს აძლევს იგი მინისტრს?!

ზემოთ განხილული პრობლემებისა და მაგალითების გარდა, წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოვლინდა კიდევ რამდენიმე ფაქტი, რომლის ანალიზის შედეგად შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მრჩეველის პოზიციას რიგ შემთხვევებში მცირე სამუშაო გამოცდილების მქონე ან ნაკლებად კომპეტენტური პირები იკავებენ. რთულია იმ კრიტერიმების განსაზღვრა, თუ რა ნიშნით შეირჩევიან ისინი მრჩეველებად, რაც ბადებს ნეპოტიზმის საფუძვლიან ეჭვს.

მაგალითად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან IDFI-ისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მინისტრმა ელგუჯა ხოკრიშვილმა მრჩეველებად 2014 წლის ივლისსა და სექტემბერში სამი პირი დანიშნა. სამივე მათგანი მანამდე მუშაობდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ასევე მინისტრის მრჩეველის თანამდებობაზე, სწორედ იმ პერიოდში, როცა აღნიშნულ უწყებას თავად ელგუჯა ხოკრიშვილი ხელმძღვანელობდა. ამასთან, აღნიშნული მრჩეველებიდან ერთ-ერთი, 2013 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის დამთავრების შემდეგ, დასაქმებული იყო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, სადაც ელგუჯა ხოკრიშვილი აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას იკავებდა. გამოდის, რომ მრჩევლები მინისტრს მუდმივად თან დაყვებიან, თანაც ყველა სფეროს ექსპერტები არიან(!).

მინისტრ ხოკრიშვილის ერთ-ერთი ზემოაღნიშნული მრჩეველი 1990 წელსაა დაბადებული, მეორე მრჩეველი კი — 1991 წელს. შესაბამისად, 24 და 23 წლის ასაკში მათ უკვე ორ უწყებაში მოასწრეს მინისტრის მრჩევლობა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩევლის თანამდებობას იკავებდა გედევან ფოფხაძის ძმა, ისტორიკოსი ბესიკ ფოფხაძე. იგი რჩევებს საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით აძლევდა.

შსს სასაზღვრო პოლიციიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 11 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული უწყების ხელმძღვანელის ზურაბ გამეზარდაშვილის მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში ებრაული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძის შვილი დიმიტრი ჯაველიძეა.

დიმიტრი ჯაველიძისგან განსხვავებით, სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელის მეორე მრჩეველი, გიორგი ყურაშვილი, წლების მანძილზე (1989-2004) მუშაობდა ძალოვან სტრუქტურებში, ათწლიანი უმუშევრობის შემდეგ ის ჯერ სასაზღვრო პოლიციაში სანაპირო დაცვის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორად (მრჩეველი) დაინიშნა, დაახლოებით თვენახევრის შემდეგ კი ამავე უწყების ხელმძღვანელის მრჩეველი გახდა.

მრჩევლების სამუშაო გამოცდილების შესახებ (CV) სამინისტროებიდან IDFI-ისთვის მიწოდებული ინფორმაციისა და მრჩევლის პოზიციაზე მყოფი პირების მიერ შევსებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ რამდენიმე მრჩეველი შესაძლოა იყოს ე. წ. „ოდეერი“ (ОДР – офицер действующего резерва) ანუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცერი უსაფრთხოების საკითხებში.

როგორც ირკვევა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მრჩეველი (2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით) გიორგი მეზვრიშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩევლები ზურაბ გეგუჩაძე (2014 წლის 26 სექტემბრის მდგომარეობით) და დავით ღონიაშვილი (2014 წლის აგვისტოს მდგომარეობით), ასევე სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი (2014 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით) გიორგი უკლება შინაგან საქმეთა სამინისტროში იყვნენ დასაქმებულნი. აღნიშნული დგინდება მათ მიერ ბოლო წლებში შევსებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებიდან.

ზემოხსენებული კვლევის საფუძველზე IDFI-ის მიაჩნია, რომ აუცილებელია, კონკრეტულად განისაზღვროს მრჩევლების ფუნქცია-მოვალეობები სახელმწიფო უწყებებში. მრჩევლები ექსპერტის ფუნქციას უნდა ასრულებდნენ იმ მიმართულებით, რაშიც, შესაძლოა, ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელს არ ჰქონდეს სპეციფიკური ცოდნა და კვალიფიკაცია და აქედან გამომდინარე, მრჩევლების დახმარება აუცილებელი იყოს მისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის. უწყების ხელმძღვანელის თითოეული მრჩევლის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო მიმართულებები მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისგან. ამასთან, მრჩევლები თანამდებობებზე ღია და გამჭვირვალე კონკურსის წესით უნდა ინიშნებოდნენ, რათა მოხდეს ნეპოტიზმის შემთხვევების პრევენცია.

მრჩევლის პოზიციის დასაკავებლად არ ცხადდება კონკურსი და ხელმძღვანელს შეუძლია, თავად აირჩიოს მრჩეველი, რაც აღვივებს იმ აზრს, რომ ამ კუთხით საქართველოში ყველაზე მეტი ნეპოტიზმია. არათუ მინისტრებს, თურმე მინისტრის მოადგილეებსაც კი მრჩევლები ჰყავთ. და თუ გავითვალისწინებთ მათი შრომის ანაზღაურებას, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ბიუჯეტის თანხები უყაირათოდ იხარჯება. **მრჩევლების ხელფასები 1080-დან 2000 ლარამდე მერყეობს. თუმცა, თავდაცვის სამინისტროში, ევროინტეგრაციის სამინისტროში მრჩეველთა ხელფასი 2550 ლარია. მეტიც, მაგალითად, საავიაციო სააგენტოში მრჩევლის ხელფასი — 4000 ლარია.**

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე სამინისტროში მრჩევლების ინსტიტუტი არ მოქმედებს. მრჩევლები არ ჰყავთ საგარეო საქმეთა, სასჯელაღსრულების, ფინანსთა, სპორტისა და ახალგაზრდობის, შერიგებისა და თანასწორობის სამინისტროებში. მრჩევლები არ ჰყავს არც შინაგან საქმეთა მინისტრს.

მრჩეველთა ინსტიტუტი თავისთავად ცუდი და მიუღებელი არ არის. რადგან ეს პრაქტიკა უკვე წლებია, არსებობს განვითარებულ ქვეყნებში, მას დადებითი უკუქმედებაც აქვს. მაგრამ როცა ჩვენს ქვეყანაში, პრაქტიკულად, აბსოლუტური არაპროფესიონალიზმით გამორჩეული კადრები ინიშნებიან მრჩევლებად და ხალხის ხარჯზე კომფორტულად გრძნობენ თავს, სავალდებულოა ამ ინსტიტუტის აუცილებლობის გადახედვა. სჭირდება კი ჩვენს ბიუჯეტს ასეთი უყაირათო ხარჯვა?!

თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

დაუბეგრავი მინიმუმის მიმღებ პირთა საყურადღებოდ!

შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ხატია მოისწრაფიშვილის განცხადებით, დეკლარაციის შევსების დღეზე არ არის დამოკიდებული დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნება.

როგორც ხატია მოისწრაფიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა,1 აპრილს დაიწყო დაუბეგრავი მინიმუმის დასაბრუნებლად დეკლარაციების ატვირთვა შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე.

„უკვე ღამის პირველი საათისთვის ატვირთული იყო 3 000-ზე მეტი დეკლარაცია. ძალიან დიდი რიგებია შემოსავლების სამსახურის სერვის-ცენტრებში, ასევე საბანკო დაწესებულებების ფილიალებში. მინდა, მოვუწოდო და თხოვნით მივმართო დაუბეგრავი მინიმუმით მოსარგებლე პირებს, დეკლარაციის შევსების დღეზე არ არის დამოკიდებული დაუბეგრავი მინიმუმის თანხის დაბრუნება. ასე მხოლოდ ვაფერხებთ სისტემას, ხელს ვუშლით გამართულ მუშაობას. პატივი ვცეთ ერთმანეთის საქმიანობას, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ სისტემის გამართულად მუშაობის საწინდარი. დაუბეგრავი მინიმუმით დასაბრუნებელი დაუბრუნდება ყველა მოსარგებლე პირს“, — განაცხადა ხატია მოისწრაფიშვილმა.

მისივე ინფორმაციით დეკლარაციების შევსება 30 სექტემბრამდეა შესაძლებელი. მისივე თქმით, წელს აქვთ სიახლეებიც.

„დაუბეგრავი მინიმუმის დეკლარაციას მიენიჭება რიგითის ნომერი, რაც იმას ნიშნავს, რომ მუდმივად იმ პირებს, რომელთაც შეავსეს დეკლარაცია შეუძლიათ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის საშუალებით აკონტროლონ იმ დღის მონაცემებით რომელ დეკლარაციებს დაუბრუნდათ თანხა“, — განაცხადა ხატია მოისწრაფიშვილმა.

ინტერპრესი

ბესიკ ხარძიანი, როგორც სამოქალაქო ომის წინათგრძნობა

თბილისის ცენტრში, დღისით-მზისით, მეუღლის (და, ალბათ, მეზობლების) თვალწინ მოკლეს ცნობილი ბიზნესმენი ბესიკ ხარძიანი. მას მოპედით აედევნა ვიღაც ახალგაზრდა, მოტოციკლეტისტის ჩაფხუტმა შეუსრულა ნიღბის ფუნქცია, შეჰყვა მსხვერპლს სადარბაზოში და რამდენიმე გასროლით გამოასალმა სიცოცხლეს.

როგორც ჩანს, იყო „საკონტროლო გასროლაც“, რადგან ხარძიანი არ უნდა გადარჩენილიყო: თუ გადარჩებოდა, ყველაზე უკეთ სწორედ თვითონ ეცოდინებოდა, ვინ „შეუკვეთა“.

ბოლოს ამგვარი მკვლელობა თბილისში, ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დასალიერს მოხდა, როდესაც ავიაკომპანია „აირზენას“ ერთ-ერთი მფლობელი კახი ასათიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. დანაშაული, რომელსაც ცნობილ კანონიერ ქურდს ტარიელ ონიანს უკავშირებენ, დღემდე გაუხსნელია.

ეს პირველი მსგავსება და „საერთო მნიშვნელია“, რაც ქმნის საფუძველს, ვისაუბროთ „სვანურ მიკროსაზოგადოებაში“ ტრადიციულად მიმდინარე პროცესებზე, ანუ გრძელდება „გარჩევები“ სიცილიური ვენდეტის კანონებით. თუმცა, ის, რაც კონკრეტულად ბესიკ ხარძიანთან დაკავშირებით მოხდა, კიდევ უფრო საშიში პროცესის ნაწილია, რამაც, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მთელი ქვეყანა შეიძლება ჩაითრიოს სამოქალაქო ომში!

თავდაპირველად, მოკლული ბიზნესმენის ოჯახის წევრები ყოფილი ხელისუფლების მაღალი წრის წარმომადგენელს გია უდესიანს ადებდნენ ხელს. ამ ვერსიის შესაბამისად, ხარძიანი სწორედ უდესიანთან დავობდა კუს ტბის წილებზე. თუმცა, შემდეგ გაირკვა, რომ უდესიანი უშუალო მოპასუხე არ ყოფილა. საქმეში გაჩნდა ვინმე რეზო ქურასბედიანი, რომელიც რუსულად საუბრობდა ინტერვიუში და, ამით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთში ცხოვრობს.

ხარძიანების ერთ-ერთმა ადვოკატმა ბოლოს დაადასტურა: გია უდესიანი უშუალოდ არ მონაწილეობდა დავაში, არამედ, მისი თქმით, „საქმის მასალებში ფიგურირებდა, როგორც გამომძალველი“.

სქემა კი, რასაც გვთავაზობენ და გვაიძულებენ უსიტყვოდ დავიჯეროთ, ასე გამოიყურება: გია უდესიანი იყო ბესიკ ხარძიანის ბიზნესპარტნიორი, მას და მის დამქაშებს სურდათ ხარძიანისთვის ქონების (კუს ტბის) წაგლეჯა, ამიტომ ვანო მერაბიშვილთან „ჩაწყვეს“, პოლიციამ ხარძიანს პირში ჰეროინი ჩაუყარა, გაასამართლეს და ორი წლის შემდეგ ძლივს გამოვიდა ციხიდან მხოლოდ იმის წყალობთ, რომ „წილები“ დათმო.

ამ სქემაში ყველაფერი, ერთი შეხედვით რიგზეა და სავსებით ერგება წინა ხელისუფლების წარუშლელ იმიჯს, მაგრამ ერთი უცნაურობა მაინც შეიმჩნევა: თუკი გია უდესიანი ბესიკ ხარძიანის ბიზნესპარტნიორი იყო, მაშინ რა ისეთი პრობლემა უნდა შექმნოდა ხარძიანს სააკაშვილის რეჟიმთან, რომ ამგვარი სახელმწიფო ყაჩაღობის განხორციელება გამხდარიყო საჭირო: პირში ჰეროინის ჩაყრა და ასე შემდეგ? აკი გვეუბნებიან, რომ უდესიანი იმ ხელისუფლების ზონდერჯგუფთა თავკაცი იყო და, ალბათ, მართლა იყო. და თუ ასეა, მაშ რაშია საქმე, რა უნდა მომხდარიყო?

იქნებ საქმე ისაა, რომ უდესიანი, სინამდვილეში, მხოლოდ შუამავალი იყო ხარძიანებსა და ხელისუფლებას შორის, როდესაც მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ, რათა „ნარკოტიკების მოხმარებისთვის“ მსჯავრდებული გარეთ გამოსულიყო?

ბუნებრივია, თუ ხარძიანი ადეიშვილის პროკურატურას ათეულობით მილიონ დოლარს ან ათეულობით მილიონი დოლარის ქონებას შესთავაზებდა თავისუფლების სანაცვლოდ, ის ხელისუფლება უარს ნამდვილად არ იტყოდა და წყნეთში არსებულ ფარდულსაც აყიდინებდა რამდენიმე მილიონად, როგორც ხშირად აკეთებდნენ, რათა ამ ფულით რაბათი და სხვა მსგავსი პროექტები დაეფინანსებინათ.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც უნდა დავიჯეროთ პირდაპირი „ბმა“ამ ორ მოვლენას შორის: ჰეროინის მოხმარებისთვის ბიზნესმენის დაკავება და წილების დათმობა საპროცესო შეთანხმების ფარგლებში, რაც ძალიან ფართოდ გამოიყენებოდა უწინდელი ხელისუფლების დროს. ოღონდ, უმრავლეს შემთხვევაში, ბიუჯეტის და არა რომელიმე სხვა ბიზნეს-ჯგუფის სასარგებლოდ!

ანუ, გარდა სააკაშვილ-ადეიშვილ-მერაბიშვილის „მონსტრუალური იმიჯისა“, ჯერჯერობთ არსად და არაფრით ჩანს, რომ ეს ორი მოვლენა ერთი სქემის ორი სხვადასხვა ნაწილია.

ამ მხრივ, ტრაგედია, რომელიც თბილისში მოხდა, შინაარსობრივად, ანუ მოტივაციურ ნაწილში ძალიან ჰგავს დავით კოდუას ცემის ფაქტს. შეგახსენებთ: დავით კოდუა სცემეს მას შემდეგ, რაც ბიზნესმენმა, რომელიც ნარკოტიკების მოხმარებისთვის დააკავეს და ციხიდან გამოსასვლელად გვარიანი თანხა გადაახდევინეს, ხარძიანისგან განსხვავებით (!), ვერაფრით მოახერხა ამ ქონების ლეგალურად, ესე იგი სასამართლოს მეშვეობით დაბრუნება.

სწორედ აქ არის სხვაობა: ხარძიანები საკმარისად გავლენიანი აღმოჩნდნენ საიმისოდ, რათა მოსამართლეს „სწორი“ გადაწყვეტილება მიეღო. მით უმეტეს, რომ ქალბატონ მოსამართლეს მაგიდაზე ედებოდა 2012 წლის ამნისტიის აქტი. იმ აქტის ფილოსოფია კი სწორედ ის იყო, რომ წინა ხელისუფლების დროს გავრცელებული საპროცესო გარიგებები, სინამდვილეში, სხვა ბიზნესჯგუფთა მხრიდან, ხელისუფლებასთან გარიგებით განხორციელებული „გამოძალვის აქტი“ იყო, ანუ კატეგორიულად გამორიცხავდა იმის ალბათობას, რომ პოლიციამ უბრალოდ დააკავა ნარკოტიკების მომხმარებელი, ხოლო შემდეგ, პროკურატურამ, კანონის თანახმად, ბიუჯეტის სასარგებლო საპროცესო გარიგება გააფორმა მასთან.

სამწუხაროდ, მთელი ამ დღეების განმავლობაში, ტელეჟურნალისტებს არ ეყოთ პროფესიონალიზმი დაღუპულის ოჯახის წევრებისა თუ მისი ადვოკატებისთვის დასვათ საკვანძო კითხვა, რომელზე პასუხიც ბევრ რამეს მოჰფენდა ნათელს: კონკრეტულად რას გულისხმობდა საპროცესო შეთანხმება? იგულისხმებოდა თვით ქონების დათმობა სახელმწიფოს სასარგებლოდ – მისი შემდგომი რეალიზაციისთვის თუ ხარძიანი იძულებული გახდა ეს ქონება გაეყიდა (იმავე უდესიანის შუამავლობით) სხვა გავლენიან სვანურ ჯგუფზე, რათა საჭირო თანხა მოეგროვებინა?

ორივე შემთხვევაში (მაგრამ პირველ შემთხვევაში უფრო, ვიდრე მეორეში) აშკარაა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება გააცოფებდა იმ ქონების ახალ მფლობელებს, რადგან, თუ მათ კუს ტბა სახელმწიფოსგან შეიძინეს და ბიუჯეტში ფული გადაიხადეს, იმ ფულს დღეს ვინღა დაუბრუნებს? არავინ!

თუმცა, „სვანური ვენდეტის“ კვალი იმდენად აშკარაა, რომ მაინც უფრო მეორე ვარიანტს ჰგავს, ოღონდ ამით წყენის და „გაცოფების“ ხარისხი არ დაიკლებდა.

ხარძიანის მკვლელობის გახსნა, ყოველ შემთხვევაში ნამდვილი შემკვეთების მიგნება, იოლი არ იქნება: საპროცესო გარიგებისთვის საჭირო ფულის შეგროვების პროცესში იმდენი და ისეთი ხალხი იყო გარეული (იმავე „სვანური წრიდან“), რომ მათი გზაკვალის ძებნა გამოძიებას მოსკოვიდან – ბარსელონამდე მოუწევს.

ოღონდ მთავარი სხვაა: წინა ხელისუფლების უგუნურმა ინიციატივამ ე.წ. „საპროცესი შეთანხმების“ ინსტიტუტის დაკანონების შესახებ და ამჟამინდელი ხელისუფლების უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებამ, ერთხელ უკვე გადანაწილებული ქონების კვლავ უკან „გადმონაწილების“ შესახებ, ქვეყანა, როგორც ვხედავთ, კლანურ ომთა ჭაობში ჩაფლა! არადა, როდესაც „სამართლიანობის აღდგენის სახელმწიფო კომისია“ მართლა ამუშავდება და ეს პროცესი მასობრივ ხასიათს შეიძენს – ნამდვილი სამოქალაქო ომის წინათგრძნობა გადაჭარბებად სულაც არ მოგვეჩვენება!!!

მიშასა და მის „თვალებანთებულ რეგვენ ბიჭუნებს“ ვერაფრით შეაგნებინებდი, რომ საპროცესო გარიგების ამერიკული ინსტიტუტის ასე ბრიყვულად კალკირება და გადმოტანა სულ სხვა მენტალობის საზოგადოებაში, სადაც სულ სხვაგვარი ადამიანური და სოციალური მიმართებები არსებობს – აუცილებლად გამოიღებდა უმძიმეს შედეგს, თორემ იმ პროკურორს რას ვერჩით, რომელსაც ამოცანად ჰქონდა დასახული, რაც შეძლება მეტი თანხა მოეზიდა ბიუჯეტში – ბათუმის ბულვარის დასაგრძელებლად?! ბუნებრივია, მას ძალიან გაუხარდებოდა, როდესაც პოლიციიდან შეატყობინებდნენ, რომ მდიდარი ბიზნესმენი დიდი რაოდენობით ნარკოტიკის შენახვა-მოხმარებისთვის დაიკავეს.

მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება რას ფიქრობს, როდესაც ერთხელ უკვე გადანაწილებული ქონების ხელახალი „გადმონაწილების“ პროცესს იწყებს? ნეტავ თუ აცნობიერებენ, რომ ამას შესაძლოა, კიდევ უფრო კატასტროფული შედეგი მოჰყვეს, ანუ, როგორც მინიმუმ, კლანური ომები ძველ-ახალ მფლობელებს შორის და ხოცვა-ჟლეტა თბილისის ქუჩებში, ხოლო როგორც მაქსიმუმ – „მარადი სამოქალაქო ომის“ სოციალურ ბაზისთა გაძლიერება ამ ქვეყანაში!

მაშინ კეთილი ენებათ და საკუთარი ფულით დაეკმაყოფილებინათ ქონების ახალი მფლობელები, რომლებიც თავს „კეთილსინდისიერ შემძენებად“ მიიჩნევენ!

თუ უნდათ სამოქალაქო ომი, მიიღებენ!

და ისიც გავითვალისწინოთ, რომ წინა ხელისუფლების სიბრიყვე ნამდვილად არ ამართლებს და ვერც გაამართლებს ამჟამინდელი ხელისუფლების უპასუხისმგებლობას.

გელა კალანდაძე

◎ კაკალ გულში

წერილოვანი თრაზები

● თეა თუთბერიძე მონასტერში წავიდა. „იმედის“ ტელეწამყვანებმა განაცხადეს, რომ ჟურნალისტიკაში საერთოდ ვერ ერკვევიან და სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში გახსნილ ფერმაში წავიდნენ სტაჟიორებად. „რუსთავი 2“-მა ნაცმოძრაობის ოფისთან აქცია გამართა დევიზით „ჩვენ თქვენი ბინძური ფული არ გვინდა!“. საპარლამენტო უმრავლესობამ მანდატები დაჭრა, ხოლო უმცირესობის წარმომადგენლები პროკურატურაში გამოცხადდნენ აღიარებითი ჩვენებებით. ძალოვანი სტრუქტურებიდან უამრავმა თანამშრომელმა წასვლის შესახებ განცხადება დაწერა. ხელისუფლების სხვადასხვა რგოლში სხვადასხვა რანგის ჩინოსნებმა საკუთარი არაპროფესიონალიზმი აღიარეს და დაწყებითი კლასების პედაგოგებს მიებარნენ სასწავლებლად.

საოცრად გათენდა პირველი აპრილი!

● პარლამენტს ფსიქიატრი არ ჰყავს? ბობოხიძეა მისახედი, რახანია!.

● მე ამაყი ვარ! – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ამაყია, მეც ამაყი ვარ!

როდესაც საქართველოს პრეზიდენტი და მე ამაყები ვართ, ცხადია, თქვენც ამაყი იქნებით.

როდესაც საქართველოს პრეზიდენტი, მე და თქვენ ამაყები ვართ... (გაგრძელება იქნება)

● ყოველმხრივ ცნობილ ჟურნალისტთან საუბარში, პრეზიდენტი ამბობს: მე მაინც ვფიქრობ, რომ დღევანდელი... და იმსიგრძე პაუზა გააკეთა, რომ მოვასწარი გაფიქრება – „კვერცხი ჯობია ხვალინდელ ქათამს“ – იტყვის-მეთქი, მაგრამ გამაწბილა და – არგამოცხადება მთავრობის-ო, – გააგრძელა...

დანარჩენი უკვე აღარ იყო საინტერესო.

● კაკოს ძალა „ბეზრუკავკაშია“...

● ღმერთო, ღმერთო, ამასა გთხოვ:
ერთხელ, სიცოცხლეში,
საქართველოს დაურიგე
უმაღლესი „ფლეში“.
...და თუ ამას გააკეთებ,
ისეც ჰქენი, ბარემ,
საქართველოს მტრებს
მიეცი „კარე“!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

ბუდაპეშტში დედაენის დღის აღსანიშნავი ლექცია გაიმართა

დედაენის დღის 37-ე წლისთავის აღსანიშნავად, ბუდაპეშტის ეოტვოშ ლორანდის სახელობის უნივერსიტეტში უნგრელი ქართველოლოგის ჰაინალკა ბაბირაკის ღია ლექცია გაიმართა. ლექცია ქართული ენის, კულტურისა და ისტორიის თემას მიეძღვნა, რომელიც ორგანიზებული იყო უნგრეთში საქართველოს საელჩოსა და ე. ლორანდის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ.

მათივე ინფორმაციით, ლექციას ესწრებოდნენ უნგრეთის აკადემიური, სამეცნიერო და კულტურული წრეების წარმომადგენლები, უნგრელი სტუდენტები, უნგრეთში მცხოვრები თანამემამულეები.

ბაბირაკმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ქართული ენისა და უნიკალური დამწერლობის ისტორია, მოუთხრო ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებზე, მიმოიხილა საქართველოს ისტორია და წაიკითხა ი. ჭავჭავაძისა და გ. ტაბიძის ლექსები როგორც ქართულ, ასევე უნგრულ ენაზე (თარგმანი ეკუთვნის ჰ. ბაბირაკს.)

ინტერპრესი

„საკაშვილის საქართველოში დაბრუნება მის ფიზიკურ ლიკვიდაციას გამოიწვევს“

„თარგამაძე, ბოკერია, ბარამიძე, მინაშვილი, გაბაშვილი და ძმანი მათნი...“ — ეს იმ ადამიანთა ჩამონათვალია, რომელთა პოლიტიკური ველიდან განეიტრალებასაც ლუკა კურტანიძე ითხოვს.
„რეპორტიორს“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლუკა კურტანიძე ესაუბრა:

— ᲕᲘᲫᲜᲔᲑᲘ რადიკალური და ვიტყვი, რომ პოლიტიკოსები, რომელთა გამოსწორებაც არ იქნება, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრებისგან იზოლირებული უნდა იყვნენ. ასეთებად მიმაჩნია თარგამაძე, ბოკერია, ბარამიძე, მინაშვილი, გაბაშვილი და ძმანი მათნი... ეს ადამიანები სასაწრაფოდ უნდა განეიტრალდნენ პოლიტიკური ველიდან. ხოლო ის ადამიანები, რომელთა მიმართაც სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული, მაგალითად, საკაშვილი, ადეიშვილი — სამართლებრივი დევნა უნდა გაგრძელდეს იმ ფაქტებზე, რაც მათ ჩაიდინეს. თუ ტირანი და დამნაშავე არ დაისაჯა, საზოგადოება არასდროს დაიჯერებს, რომ შენ გსურს სამართლიანობა. საზოგადოებაში არ უნდა არსებობდეს მოსაზრება, რომ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება არ მოხდება. ამისთვის სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ ეს ადამიანები და შეიქმნას პრეცედენტი, რომ სამართლიანობა აღდგენადია. არ შევეგუებით იმ ადამიანების ბოგინს, რომელთა ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლის განმავლობაში ქართველი ერი სიმწრისგან გმინავდა. არაფრის ფასად არ მიღირს და ვერ შევუქმნი ვერანაირად კომფორტს ნაციონალებს, რომ მშვიდად იყვნენ. ვერასდროს იქნებიან ნაციონალები მშვიდად, სანამ ჩვენ, დღეს ხელისუფლებაში მყოფი ხალხი ვარსებობთ. ყოველთვის შევახსენებთ იმას, რასაც ისინი სჩადიოდნენ ამ ხნის განმავლობაში.

— 2 წლის განმავლობაში ეს რატომ ვერ მოხერხდა?

— 2 წელი არ არის ბევრი დრო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ უნდა გამოგვეაშკარავებინა ადამიანები, დაინახავდნენ თუ არა საკუთარ დანაშაულს, შეცდომებს, მაგრამ საპირისპირო შედეგი მივიღეთ.

მე რომ შს მინისტრი ვიყო, გივი თარგამაძეს და მისნაირებს არ ასცდებოდათ ყოველდღე დაკითხვა და იმ ინფორმაციებზე, რასაც ისინი ავრცელებენ ყოველდღიურად, ყველაფერზე მოვთხოვდი პასუხს და მტკიცებულებებს. ალბათ, რადგან ასეთი ვარ, ამიტომ არ ვარ შს მინისტრი.

უნდა დავიწყოთ ლიდერებით — სააკაშვილი, ადეიშვილი, ბოკერია, გაბაშვილი, თარგამაძე, თაქთაქიშვილი, მინაშვილი — ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც გამოირჩევიან რადიკალიზმით. არიან ტექნიკური შემსრულებლებიც, რომლებიც გამოირჩეოდნენ სისასტიკით, მაგრამ ისინი არ ჩანან, ჩუმად არიან — საბოლოო ჯამში ამ ადამიანებს უნდა გაეცეთ შესაფერისი პასუხი!

— „26 მაისის“ უშუალო მონაწილე ხართ. ამ საქმის გამოძიებით კმაყოფილი ხართ?

— არ ვარ კმაყოფილი იმ დასკვნით. ეს მოვლენა იმაზე ბევრად უფრო სასტიკი იყო, ვიდრე ის სასჯელი, რაც ამ ამბის მომწყობმა ადამიანებმა მიიღეს. ვფიქრობ, არაადეკვატურია სასჯელი, რომელიც მიიღეს დამნაშავეებმა. მე მგონია, რომ ხელახალი გამოძიებაა საჭირო, რათა გამოძიება უფრო კარგად ჩაუღრმავდეს ყველა ფაქტს. ეს დღე დაღად დაეჩნდა მთელ საზოგადოებას. გამოძიების შედეგი კი ყოველი ჩვენგანის მოთმინებაზე გადის.

ამ საქმეში ფიგურირებს სააკაშვილი, რომელმაც წინა ღამით დაღვრილი სისხლი გადარეცხა და საზეიმო ღონისძიება გამართა. პირველ რიგში, ეს ადამიანია დასასჯელი! ახლაც ვერ ვეგუები იმ ფაქტს, რომ სააკაშვილი 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ 1 წლის განმავლობაში კვლავ პრეზიდენტი იყო. მე რომ იმ პერიოდში პარლამენტში ვყოფილიყავი, ფიზიკურად გავუსწორდებოდი მას. მართალია, არ არის პარლამენტი ფიზიკური ანგარიშსწორებების ადგილი, მაგრამ ეს იქნებოდა ერთადერთი გამონაკლისი ჩემი მხრიდან და ეს იქნებოდა არა ერთი ადამიანის, ლუკა კურტანიძის საქციელი, ეს იქნებოდა მთელი საზოგადოების ნების გამოხატვა. თუ მას 10 ტყვიას ესვრიან, მე-11 იქნება ჩემი და ეს იქნება პოლიტიკური ტყვია!

ყველა საქმე, რომლის ირგვლივაც არსებობს კითხვები, უნდა იქნას გამოძიებული და დამნაშავე დასჯილი, ეს ყველაფერი კი უნდა მოხდეს ძალიან ფრთხილად, რადგან ნებისმიერ მათგანს ჰყავს ოჯახები, შვილები... მომავალ თაობას არ უნდა დავუტოვოთ აგრესია და ყველა სასჯელი დაფუძნებული უნდა იყოს მტკიცებულებებზე. არ უნდა ფიქრობდნენ, რომ მათი მშობლები ხელისუფლებამ იმიტომ დასაჯა, რომ ვინმესთვის პოლიტიკურად მიუღებლები იყვნენ. მე რომ თარგამაძე ან გაბაშვილი ვნახო წაქცეული და მათზე ამდროს ვინმე ძალადობდეს, მე ვიქნები პირველი, ვინც მათ წამოაყენებს, მაგრამ ფეხზე რომ დავაყენებ, მერე მოვთხოვ პასუხს მთელი სისასტიკით ყველა იმ დანაშაულზე, რომელიც ჩაიდინეს, მაგრამ ეს არ უნდა გადაცდეს ადამიანურ ზღვარს. როცა რამე ადამიანურ ზღვარს სცილდება, ამას საზოგადოება არ გპატიობს.

დიდი ხანია, ამის თქმა მინდა ძალიან ხმამაღლა — ის კადრები, სადაც აღბეჭდილია, რა სისასტიკეც ჩაიდინეს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, როგორ აუპატიურებდნენ ადამიანებს, როგორ ამცირებდნენ ოჯახის წევრების თვალწინ... უნდა დასვა დღევანდელი საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები, რომლებიც არ აღიარებენ, რა დანაშაულები ჩაიდინა მათ გუნდმა, ჩაკეტო ოთახში და იძულებით აყურებინო ყველაფერი ის, რაც ხდებოდა რეჟიმის დროს. დღეს ბევრი ითმენს ისევ, მაგრამ ყველამ იცოდეს, რომ ის ადამიანები, ვისზეც გადაიარა იმ ყველაფერმა, არიან პოტენციური მკვლელები და როდის იფეთქებს ყოველივე ეს, არავინ იცის.

— ამ ადამიანებმა, ასე თუ ისე, იციან იმ კადრების შინაარსი, სამაგიეროდ, არ იცის იმ 12 ათასამდე მხარდამჭერმა, რომლებიც 21 მარტის აქციაზე ნაციონალურ მოძრაობას „ამაგრებდნენ“.

— ვინც ფულით მიიყვანეს, იმათ უნდა შევეშვათ, მაგრამ ვინც ფანატიკოსი მიშისტია, იმათ უნდა ვაჩვენოთ. ამ ადამიანებს უნდა ვაჩვენოთ სინამდვილე. ამის მერე სხვანაირად მოიქცევიან.

— ელით თუ არა, რომ ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდება ხელისუფლებაში?

— რეჟიმს, რომელმაც ამხელა სისასტიკე ჩაიდინა, გაწირა ყველა, საქართველოში არასდროს ექნება უკან დაბრუნების შანსი. ვერასდროს დაბრუნდებიან. რაც შეეხება საკაშვილს, საქართველოში ამ ადამიანის დაბრუნება მის ფიზიკურ ლიკვიდაციას გამოიწვევს.

— ვისი მხრიდან?

— იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც ოჯახების თვალწინ გააუპატიურეს. თუ სააკაშვილი არ დაისჯება, მერწმუნეთ, ოდესმე სადღაც იფეთქებს და ეს ცუდად აისახება ყველაზე და ყველაფერზე.

ᲓᲘᲐᲜᲐ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ

◎ ᲮᲣᲓᲝᲜᲰᲔᲡᲘ — ᲓᲐᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘ

1 მლნ ლარის ღირებულების ელექტროენერგია — ხაიშელების საპირწონედ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ სიტყვებმა ხაიშელები კვლავაც საბრძოლველად განაწყო. ისინი ამბობენ, რომ ამჟამად მარხვაა, თუმცა მოგვიანებით, თუკი მათ სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება, ისინი კვლავაც საკუთარ სოფელს დაიცავენ გარდაუვალი ჩაძირვისგან.

ამის პარალელურად, პრემიერი აცხადებს, რომ ენერგოდამოუკიდებლობა და ენერგოუსაფრთხოება ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ, „თუ არ ავაშენეთ პატარა, საშუალო და დიდი ჰესები, 1 მლნ ლარის ღირებულების ელექტროენერგიის უცხოეთიდან შესყიდვა მოგვიწევს“. ამის შესახებ პრემიერმა ხუდონჰესთან და ხაიშელების აყრასთან მიმართებით დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მისი თქმით, ენერგომატარებლებთან დაკავშირებულ საკითხებზე ქვეყნები ომებს იწყებენ. ასე რომ, ჩვენ გვაქვს ღმერთისგან ბოძებული რესურსები და უნდა გამოვიყენოთ. ამ ეტაპზე კი ჩვენ რესურსების მხოლოდ 18%-ს ვიყენებთ.

„ეს იქნება დანაშაული, რომ საქართველომ, რომელიც არის უმდიდრესი მთელ მსოფლიოში და მეორე ადგილზეა ერთ სულ მოსახლეზე ჰიდრორესურსების მიხედვით, ვერ მოახერხოს ადგილზე მწვანე ენერგიის გამომუშავება... გარემოს დაცვის სამინისტრო არის ჩასაფრებული ყველა ჰესის მშენებლობის დროს. ჩვენ დაუფიქრებლად და გაუაზრებლად არ გავაკეთებთ არაფერს, რომ ერთი სიკეთის შემოტანით მეორე სიკეთე დავაზიანოთ. ჩვენ ვცდილობთ, სიკეთე შევქმნათ, შეიძლება, რაღაც დაზიანდეს, მაგრამ ყველაფერი შეფარდებითია“, — განაცხადა მთავრობის მეთაურმა და განმარტა, რომ „ხუდონჰესთან“ დაკავშირებით მუშაობა გრძელდება და ის მზადაა, საჭიროების შემთხვევაში, თავად შეხვდეს ხაიშელებს.

უფრო მეტიც, **დიდი ჰესების წინააღმდეგ დაგეგმილ აქციებს პრემიერმა „გაუგებარი პოლიტიკოსების გაუაზრებელი აქციები“ უწოდა, რომლითაც ისინი ინვესტორებს ებრძვიან.**

ენერგეტიკოსი ოლეგ ბაშარული თვლის, რომ გაუთვალისწინებლობით აშენებული ჰესები დროთა განმავლობაში სახიფათო ობიექტებად გვევლინებიან. For.ge-სთან საუბარში იგი აცხადებს, რომ წყლის საგუბარები ქმნის დანესტიანების კერებს და ადგილობრივი კლიმატის შეცვლას განაპირობებს, რაც მოქმედებს მცენარეულ საფარზე, ცხოველებზე, ფრინველებსა და ადამიანებზე. ამის შემდეგ ყოველი ცოცხალი ორგანიზმი ცვლილებას განიცდის და, რა თქმა უნდა, ეს სიცოცხლისუნარიანობისთვის საზიანოა.

„ამდენად, როცა რაღაცას აშენებ, უნდა იცოდე, საბოლოოდ ეს მშენებლობა რას გამოიწვევს. ასეთ პირობებში ჰესი ააშენო და დენი გაყიდო, მიუღებელია. დღეს საქართველოს გამომუშავებული ენერგია ჰყოფნის, მაგრამ იმიტომ ჰყოფნის, რომ არ გვაქვს არავითარი მრეწველობა. პრემიერს რომ ეთქვა, ჩვენ სახალხო მეურნეობის განვითარებისთვის გვჭირდება დამატებითი ენერგია და ამისთვის ეს ჰესი უნდა ავაშენოთო, ამის განხილვა სხვა შედეგით დამთავრდებოდა. რაც საჭიროა, იმას არავინ აკეთებს და რაც არ არის საჭირო, იმას აკეთებენ, თანაც — ძალზე ცუდად. 1 მილიონი ლარის ღირებულების ელექტროენერგიის უცხოეთიდან შეძენაზე როცა საუბრობენ, შევახსენებ, რომ, დღევანდელი სიტუაციით, ჩვენ ვყიდით და არ ვყიდულობთ. ჩვენი ბედნიერი მთავრობის ხელმძღვანელებმა -პრემიერმა თუ ვიცე-პრემიერმა იმდენი არ იციან, რომ სულ მალე, ჩვენი ობიექტების ამოქმედების შემდეგ, ორჯერ მეტ ენერგიას გამოვიმუშავებთ, ვიდრე დღეს გვჭირდება. რატომღაც არავინ ფიქრობს, ეს ენერგია პირდაპირ კი არ გაიყიდოს, არამედ გადავიდეს სხვა საქონელში და საქონლის მონაცვლედ გაიყიდოს უფრო მეტი ფულადი შემოსავლის მისაღებად. ასეთი არასწორი მიდგომით საქართველოში არასდროს მოევლება უმუშევრობას. პირიქით, უმუშევრობა გაიზრდება, რადგან დასაქმების ობიექტები არ არის. ჩვენ ყველაფერს ვყიდით, თუ რამე გაიყიდება. დღეს გამოდის კვირიკაშვილი და, ნაცმოძრაობის ლიდერების მსგავსად, იძახის, ინვესტიცია-ინვესტიციაო. საკუთარი მიწაწყლიდან გაყიდული ფულით შემოსული ინვესტირება შეიძლება გამართლებული იყოს?“ — აცხადებს ოლეგ ბაშარული.

ხაიშის მკვიდრი გოჩა თორია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, თუ საქართველოს მთავრობას სვანეთის სანაცვლოდ ელექტროენერგიის მიღება სურს, ეს სვანეთის ხარჯზე ვერ მოხერხდება. უფრო მეტიც, რა აზრიც იყო სვანეთში, ეს აზრი უცვლელია და პრემიერის ბოლოდროინდელ ნათქვამს (1 მლნ ლარის ღირებულების ელექტროენერგიის უცხოეთიდან შესყიდვის თაობაზე) სვანებზე არავითარი რეაქცია არ მოუხდენია.

„სვანეთი არის და იქნება, დამთავრებულია მანდ ყველაფერი. ეს კანონია ჩვენთვის. ელექტროენერგიის სანაცვლოდ სვანეთი არ დაიკარგება. ის, რომ ზოგიერთი სვანი აყრაზე თანახმაა, ეს ისეთი კატეგორიაა, დღეს რომ გაყიდის აქაურობას და ფულს აიღებს, ხვალ სადაც წაიყვან, იქაურობასაც გაყიდის, მერე მთლიანად, საქართველოსაც გაყიდის და თურქეთში წავა. თუ იქაც ფული შემოაკლდება, კიდევ წავა და მოივლის სხვა უცხო ქვეყანას. სულ ასე ივლის ფულის ავადმყოფობით შეპყრობილი. სვანები არც აქციებზე არ ვამბობთ უარს, ეს ნათქვამია ფიცის დონეზე. ჩვენი ნათქვამი არ შეიცვლება, გარდა იმისა, რომ იქ უნდა ვიდგეთ, სადაც ვდგავართ“, — გვითხრა გოჩა თორიამ.

როგორც ცნობილია, ხუდონჰესის წინააღმდეგ განწყობილი მოსახლეობის სულისკვეთებას მარგვეთისა და უბისის ეპარქიის წარმომადგენლებიც იზიარებენ. სასულიერო პირები წუხილს გამოთქვამენ, რომ ხუდონჰესის პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ეკლესია და მის მიმდებარედ არსებული სასაფლაო წყალქვეშ მოექცევა. ამიტომაც ითხოვენ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების, ანუ კონკორდატის მე-7 მუხლის ამოქმედებას. აღნიშნული მუხლის თანახმად, ჯერ კიდევ 2002 წელს სახელმწიფომ ვალდებულება აიღო, რომ დაეცვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არსებული სიწმინდეები თუ ეკლესია-მონასტრები.

ამასთან, სვანები აცხადებენ, რომ ჰესის ასაშენებელ ადგილზე სერიოზული მიწისძვრის ნაკვალევია და საბჭოთა კავშირის მაშინდელმა მეცნიერებათა აკადემიამ, ანტიქართული განწყობის მიუხედავად, ეს უარყოფითი დასკვნა მაინც დაწერა, სადაც ითქვა, რომ მიწისქვეშა ფილების რღვევის ხაზის გამო მაღლივი კაშხლების აშენება კატეგორიულად დაუშვებელი იყო.

ხაიშელების კიდევ ერთი არგუმენტია, რომ სწორედ სვანი მოსახლეობა იცავს რუსეთთან საზღვარს. ამიტომ ხუდონჰესის აშენება ამ ტერიტორიას სვანებისგან დაცლას უქადის და ეს მიწები ჩვენი მეზობლების ხელში გადავა.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

◎ ალიან-ჩალიანი

საღდგომოდ მეტროპოლიტენი მგზავრებს უფასოდ მოემსახურება

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, თბილისის მეტროპოლიტენი მგზავრებს დილის 4 საათამდე მოემსახურება, — ამის შესახებ თბილისის მერიაში ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მერაბ მამულაშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, 11 აპრილს, ღამის 12.00 საათიდან დილის 4.00 საათამდე თბილისის მეტროპოლიტენის მუშაობა გახანგრძლივდება. 11 აპრილის 23.00 საათიდან დილის 4.00 საათამდე მეტროპოლიტენი მგზავრებს უფასოდ მოემსახურება.

მისივე განცხადებით, იმისათვის, რომ მოქალაქეებმა შეძლონ სასაფლაოებამდე მისვლა, ამ მიზნით თბილისის მერია სპეციალურ მარშრუტებს დანიშნავს. კერძოდ, მეტრო „დიდუბიდან“ ავტობუსები იმოძრავებენ მუხათგვერდისა და ვაშლივჯვრის მიმართულებით. „სადგურის მოედნიდან“ და „მარჯანიშვილიდან“ კუკიისა და მახათას მთის მიმართულებით, მეტრო „ვარკეთილიდან“ ვარკეთილის სასაფლაოს მიმართულებით, ასევე მეტრო „სარაჯიშვილიდან“ თბილისის ზღვის მიმართულებით.

რაც შეეხება ვაკის, ვერის სასაფლაოებს, ასევე ავჭალის მიმართულებას, მამულაშვილის განცხადებით, აქ ტრანსპორტი იმუშავებს იმ განრიგით, რაც მათ გააჩნიათ სამუშაო დღეებში.

თბილისის მერის განცხადებით მუნიციპალური ტრანსპორტი კვლავ უფასო იქნება.

დიდუბეში კანალიზაცია და სანიაღვრე ქსელები მოწესრიგდება

დიდუბის რაიონში წყალ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების სარემონტო სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

10 მისამართზე წყალ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების შეკეთება უკვე დასრულებულია, ხოლო 4 მისამართზე მოძველებული წყალ-კანალიზაციის გაყვანილობა ახლით იცვლება.

მათივე ინფორმაციით, მიმდინარე და უკვე დასრულებული სამუშაოები დიდუბის რაიონის გამგებელმა ირმა ზავრადაშვილმა და ინფრასტრუქტურის განყოფილების თანამშრომლებმა დაათვალიერეს. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანიები, „ენ დე ეს მშენებლობა“ და „ბი და ბი“ ახორციელებენ. კონტრაქტის თანახმად, კონტრაქტორები დიდუბის რაიონში სხვადასხვა ქუჩებსა და საცხოვრებელი სახლების წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების შეკეთებას უზრუნველყოფენ.

დიდუბის რაიონის გამგებლის ირმა ზავრადაშვილის თქმით ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

დიდუბის რაიონის გემგეობა წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების შეკეთებას წლის განმავლობაში 81 მისამართზე გეგმავს. დიდუბის რაიონში წყალ-კანალიზაციის ქსელების რეაბილიტაციისათვის ბიუჯეტიდან 994 920 ათასი ლარია გამოყოფილი.

ინტერპრესი

◎ SIC!

გაჭირვებულთა დაფერდებული მოაჯირი

უხარისხოდ გაკეთებული ნამდვილად კარგი და კეთილშობილური საქმის შემხედვარე კაცმა, ზოგჯერ შეიძლება გულგაცეცხლებულმა თქვა კიდეც — ამისთანა გაკეთებას სჯობდა, საერთოდ არაფერი გაეკეთებინათო!

არადა ის, რაც ახლახან მეტროს სადგურ „თავისუფლების მოედნის“ მიმდებარედ, მასა და ახალგაზრდობის სასახლის ბაღს შორის, სახელმწიფო კანცელარიისკენ ამავალ კიბეებზე გაკეთდა, ნამდვილად სასიკეთო და მისასალმებელი საქმეა. ისევე, როგორც ბოლო დროს თბილისის ზოგიერთ ცენტრალურ ქუჩაზე, უნარშეზღუდულ პირთა გადაადგილების გასაიოლებლად, ფეხით მოსიარულეთა ტროტუარებსა და გზების სავალ ნაწილებს შორის პანდუსები მოაწყვეს, ამ კიბეზე მოძრავ ხანდაზმულ, დახმარების გასაწევი მოქალაქეებისთვის ლითონის მოაჯირი დაამონტაჟეს. თქმა არ უნდა, უაღრესად კეთილშობილური ჩანაფიქრია — ვისაც საკმაოდ გრძელი კიბის ავლა უჭირს, ამ მოაჯირზე დაყრდნობით შესვენებაც შეუძლია და გადაადგილებისას ხელის შეშველებაც. ყველაფერი რიგზე იქნებოდა, რომ არა „მაგრამ“, რომელიც, როგორც ვიცით, ყველაზე კეთილშობილურ ჩანაფიქრსა თუ საქმეს ხშირად უაზრობად აქცევს ხოლმე. ასეა, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც: დაყენებული არ იყო ის „გაჭირვების გისოსი“ რომ... ცალ მხარეს ისე გადაიხარა, ხელი რომ მოკიდოს ჩამსვლელმა კაცმა, წელში მოქნილი აკრობატივით უნდა გადაიხაროს!

მოდით, რა, პატივცემულებო, მადლს თუ ჰქმნით, ბარემ მარილიც მიაყარეთ, რა იქნება?!.

ნინო ალექსანდრია,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

საქმე №1/09-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

27 მარტი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: იასონ კობერიძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 23 იანვარს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი“-ის სარჩელი მოპასუხის იასონ კობერიძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 10 ივლისს შპს „ნოვა კრედიტსა“ და იასონ კობერიძეს შორის დაიდო სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება №071413403, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა“ მსესხებელ იასონ კობერიძეზე გასცა 1250 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებილი თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: Subaru forester; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2001; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასი) №SF9009276;

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე იასონ კობერიძეზე გადახდის დაკისრება.

2015 წლის 23 იანვარს საარბიტრაჟო განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის შპს „ნოვა კრედიტი“-ს შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და ყადაღა დაედო იასონ კობერიძის საკუთრებაში არსებულ ქ. რუსთავში, ლეონიძის ქ. 16, ბინა 73-ში მდებარე უძრავ ქონებას.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე იასონ კობერიძეს სამჯერ გაეგზავნა როგორც რეგისტრაციის ისე მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართებზე არ იმყოფება და ვერც მისი მოძიება ვერ მოხერხდა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე იასონ კობერიძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე იასონ კობერიძე როგორც ფაქტობრივ საცხოვრებელ ისე მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე იასონ კობერიძეს (პირადი №43001015726) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი“-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.
2. იასონ კობერიძეს განემარტოს, რომ

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოაუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე იასონ კობერიძეს ეცნობოს, რომ 2015 წლის 30 აპრილს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი“-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით იასონ კობერიძის მიმართ.
5. იასონ კობერიძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

გიორგი მარგველაშვილი: რუსეთი რეგიონის უშიშროების მთავარი პრობლემაა

საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის პარლამენტში გამოვიდა

რუსეთის ფედერაცია — შავი ზღვის რეგიონსა და სამხრეთი კავკასიის რეგიონში „უშიშროების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა“. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა 31 მარტს ქვეყნის ხალხისადმი ყოველწლიურ მიმართვაში. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ტერიტორიების რუსეთის მიერ ოკუპაცია და მოსკოვის ძალისხმევა მათი ანექსიისთვის აძლიერებს დესტაბილიზაციის საფრთხეს.

ამასთან დაკავშირებით მარგველაშვილმა აღნიშნა საერთაშორისო მხარდაჭერის მნიშვნელობა ქვეყნის უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის.

„დღეს ჩვენი ამოცანაა რუსეთის ინტერესების პრივილეგირებული სფეროების კონფრონტაციული პარადიგმებიდან გამოსვლა, აგრეთვე რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება და გაღრმავება, რომელიც თანასწორობის პრინციპებზე იქნება აგებული... საქართველოს უშიშროება და კეთილდღეობა უშუალოდაა დაკავშირებული ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან. მიმდინარე წელს ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაღრმავოთ ურთიერთობანი, როგორც ნატოსთან და ევროკავშირთან, ისე ევროატლანტიკური სივრცის ყოველ ქვეყანასთან“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებით, მოსკოვი „სჯის“ ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებს სწორედ მათი ევროპული არჩევნების გამო. ამიტომ მოხდა, განმარტა მარგველაშვილმა, 2008 წელს საქართველოს ოკუპაცია, 2014 წელს კი — ომი უკრაინაში, და იმავე მიზეზით უკვე მრავალი წელია, რუსეთი მხარს უჭერს დნესტრისპირელ სეპარატისტებს.

მაგრამ, გააგრძელა მარგველაშვილმა, საბრძოლო მოქმედებათა გარდა რუსეთი მიმართავს „მსუბუქ ძალას“ დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციის მიზნით. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებით, ეს ხშირად ხდება ადგილებზე ანტიდასავლური ძალების მობილიზაციის გზით. მისი სიტყვებით, „რომ შევაჩეროთ ეს შეტევა, ქვეყნის შიგნით აუცილებელია პროდასავლური დღის წესრიგის კონსოლიდირება და მუშაობის კოორდინაცია ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან“.

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველო აღიარებს კონფლიქტების მოწესრიგების მხოლოდ მშვიდობიან გზას. მისი სიტყვებით, ევროპული საქართველო — ეს არის აფხაზებისა და ოსების თვითმყოფადობის შენარჩუნების საუკეთესო გარანტია და მათი პოლიტიკური და კულტურული უფლებების რეალიზაცია. მაგრამ, აღნიშნა პრეზიდენტმა, ევროპულ საქართველოში, რომელიც დამყარებულია თანაბარუფლებიანობაზე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში იძულებით გადაადგილებულ პირთა „ნებაყოფლობითი, ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნება“.

პრეზიდენტმა გააკრიტიკა მთელი რიგი საბჭოები და სტრუქტურები, რომლებიც შექმნილია მთავრობასთან და რომლებიც, მისი სიტყვებით, ახდენენ სამინისტროების მუშაობის დუბლირებას, რითაც ასუსტებენ სახელმწიფო ინსტიტუტებს. მან გაიხსენა პირდაპირი მოლაპარაკების ფორმატიც რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლებს შორის — კარასინ-აბაშიძის მოლაპარაკება. მარგველაშვილის სიტყვებით, საქართველოს წარმომადგენლის მანდატი „არ არის განსაზღვრული ზუსტად შესაბამისი სამართლებრივი აქტით“. საქართველოს პრეზიდენტის აზრით, აუცილებელია აბაშიძის მოქმედებათა კოორდინაცია საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობის მეშვეობით, რათა ისინი მოყვანილი იქნენ საქართველოს ერთიანი საგარეო-პოლიტიკური კურსის შესაბამისობაში.

„განსაკუთრებული ურთიერთობანი“

მარგველაშვილმა აღნიშნა **განსაკუთრებული ურთიერთობანიც საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის.**

„საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთობებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. საქართველო აფასებს იმ მხარდაჭერას, რასაც მუდმივად ვგრძნობთ ჩვენი ქვეყნის დასავლური ინტეგრაციის, დემოკრატიული განვითარების, ეკონომიკური წინსვლის, უშიშროების, თავდაცვისა და უღიარებლობის პოლიტიკის მიმართულებით. ჩვენი ურთიერთობების გაღრმავება უკიდურესად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

მარგველაშვილის სიტყვებით, რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში უკიდურესად მნიშვნელოვანესია ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების როლის გაძლიერება. პრეზიდენტის აზრით, ეს დაგვეხმარება, „შევამციროთ დაშინება“ და ხელს შეუწყობს კოორდინირებულ და ადეკვატურ რეაგირებას ნებისმიერ ზემოქმედებაზე რუსეთის მხრიდან.

ამავე დროს, აღნიშნა მარგველაშვილმა, როდესაც მსოფლიო „ახალი წესრიგის ძებნის პროცესში იმყოფება“, მხოლოდ საქართველოს როდი სჭირდება ევროპა, დასავლეთსა და ევროპასაც სჭირდება ძლიერი დემოკრატიული საქართველო.

„წელს ჩვენ უნდა გადავდგათ მტკიცე ნაბიჯი ევროპული სახელმწიფოს განმტკიცებისთვის. ისტორიულად, კულტურულად ჩვენ ევროპა ვართ... ჩვენი დღევანდელი გამოწვევაა — ყოველდღიურობაში მტკიცედ დავნერგოთ ღირებულებანი, მდიდარ მემკვიდრეობაზე ავაგოთ თანამედროვე ევროპული საქართველო“, — ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა.

სხვა საკითხები

პრეზიდენტის **გამოსვლაში, რომელიც თითქმის ერთი საათი გრძელდებოდა, აღინიშნა მთავრობის გარკვეული მიღწევები (ჯანმრთელობის დაცვის სფეროსა და მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისების პროგრამაში), მაგრამ ბევრი კრიტიკაც იყო მისი მისამართით. მარგველაშვილმა დაგმო მთავრობა წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობისთვის: პრობლემები ეკონომიკაში, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაპირებული რეფორმის არქონა, აგრეთვე შერჩევითი კანონმდებლობა.**

„სახელმწიფოს უნდა მართავდნენ კომპეტენტური ორგანოები. მაგრამ ჩვენ გვაქვს ორ ათეულზე მეტი საბჭოთა კულტურა, რომლებიც კისრულობენ სახელმწიფო ორგანოების ფუნქციებს, ახდენენ მათი ფუნქციების დუბლირებას და ხშირად თავს წარმოგვიდგენენ ზემდგომ ორგანოებად... ეს წარმოშობს ბევრ შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არის პასუხისმგებელი მიღებული გადაწყვეტილებებისთვის... სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევა გამოიწვევს ქაოსსა და ანარქიას“,— განაცხადა მარგველაშვილმა.

„აბსოლუტურად ნორმალური, ჯანსაღი დამოკიდებულებანი“

პრეზიდენტის **გამოსვლას არ დასწრებია საქართველოს მთელი მინისტრთა კაბინეტი, რომელიც, მიუხედავად მარგველაშვილის ადმინისტრაციის ოფიციალური თხოვნისა, უკვე მეორე წელია, უარს ამბობს, დაესწროს მის გამოსვლას პარლამენტში.**

ადრე, 26 მარტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისი მთავრობა „მთლიანად გაურბის პომპეზურობას“, და რომ არ არის აუცილებლობა მინისტრებისთვის ესწრებოდნენ უშუალოდ პარლამენტის შენობაში, როდესაც პრეზიდენტს შეიძლება ტელევიზორითაც მოუსმინონ.

„ეს არავითარ შემთხვევაში არ არის უპატივცემლობა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი, პირიქით, შესაძლებელია, ეს არასწორი აზრია, მაგრამ მიგვაჩნია, და მიგვაჩნია სწორად, რომ ხელი შევუწყოთ ახალი რეალობის განმტკიცებას“, — განაცხადა ღარიბაშვილმა და აღნიშნა, რომ საქართველოს ახალი კონსტიტუციის თანახმად, 2013 წლიდან პრეზიდენტის უფლებამოსილებანი შეიკვეცა პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის როლის გაძლიერების ხარჯზე.

ამასთან ერთად, ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი ადამიანის ცდის საპირისპიროდ, „რომლებიც ცდილობენ, მუდმივად წარმოგვიდგინონ სურათი ისე, თითქოს პრემიერსა და პრეზიდენტს შორის არსებობს რაღაც კომფლიქტი, სიტუაცია სრულიად სხვაგვარია და მარგველაშვილთან გვაქვს აბსოლუტურად ნორმალური და ჯანსაღი ურთიერთობანი — ისეთი, როგორიც უნდა სუფევდეს ნორმალურ საპარლამენტო რესპუბლიკებში“.

მიუხედავად ამისა, პრემიერ-მინისტრის სიტყვები დამაჯერებლად არ მოეჩვენა ოპოზიციას, რომელმაც გააკრიტიკა ხელისუფლება „საქართველოს პრეზიდენტისადმი უპატივცემლობასა და მცდელობაში, ჩაშალოს პრეზიდენტის ინსტიტუტი“.

შეგახსენებთ, რომ მარგველაშვილის კანდიდატურა პრეზიდენტის არჩევნებზე წარადგინა მმართველმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“. მისი საკუთარი აღიარების თანახმად, მაშინ მეტად პოპულარული პრემიერის ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერამ გადამწყვეტი როლი შეასრულა იმაში, რომ ის აირჩიეს პრეზიდენტად. მაგრამ მალე პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ კოალიციის ლიდერმა მილიარდერმა ივანიშვილმა, რომელმაც თავისი თანამდებობა დატოვა 2013 წლის ნოემბერში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „გაწბილებულია“ მარგველაშვილით, რომელსაც თავის უახლოეს მეგობარს უწოდებდა, ვინაიდან, როგორც კი გახდა პრეზიდენტი, იგი უცნაურად იქცევა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის უკანასკნელი გამოკითხვის თანახმად, გიორგი მარგველაშვილს აქვს საქართველოს მოსახლეობაში მოწონების ყველაზე მაღალი რეიტინგი (62 პროცენტი). ამავე გამოკითხვის შედეგებით, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 56 პროცენტით მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

პოროშენკომ და მერკელმა გამოთქვეს აზრი „ნორმანდიის ოთხეულის“ შეხვედრის მხარდასაჭერად დონბასში მშვიდობისმყოფელთა შეყვანის განხილვისთვის

„პ.პოროშენკოსა და ა.მერკელს სურთ, უახლოეს დღეებში მოეწყოს „ნორმანდიის ოთხეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რათა განიხილონ შემდგომი პროგრესის აქტუალური საკითხები მინსკის შეთანხმებათა შესრულებისთვის და სამშვიდობო მისიის შეყვანისთვის დონბასში“, — აღნიშნულია უკრაინის ლიდერის ცნობაში საიტზე.

* * *

ოპოზიციური კანდიდატი ოფიციალურად აღიარეს ნიგერიაში პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვებულად

57 წლის მოქმედმა პრეზიდენტმა გუდლაკ ჯონატანმა, რომელიც კანდიდატად დასახელებული იყო მმართველი სახალხო-დემოკრატიული პარტიისგან, მოუწოდა თავის მომხრეებს, გახადონ სადავოდ გასულ უქმე დღეებში გამართული სახელმწიფოს მეთაურის არჩევნების შედეგები მშვიდობანი გზით. „არანაირი პირადი ამბიცია არ ღირს ნიგერიელების სისხლად“, — განაცხადა მან.

* * *

გარდაიცვალა დედამიწის უხუცესი ძალბატონი, იაპონელი მისაო ოკავა. ის 117 წლისა იყო

მისი გარდაცვალების შემდეგ პლანეტის უხუცესი მცხოვრები გახდა ამერიკელი ჰერტრუდა უივერი, რომელიც 1898 წლის 4 ივლისს დაიბადა. შეკითხვაზე დღეგრძელობის საიდუმლოების შესახებ ოკავა პასუხობდა: „მიირთვით და იძინეთ, და იცოცხლებთ დიდხანს. და კიდევ უნდა ისწავლოთ მოდუნება“.

* * *

ირანი და „ექვსეული“ ამზადებენ ხელმოსაწერად დოკუმენტს სანქციების მოხსნის წინადადებებით

ირანმა და „ექვსეულმა“ მიაღწიეს შეთანხმებას და ხელმოსაწერად ამზადებენ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს გაფართოებულ წინადადებებს სანქციების მოხსნისთვის, უამბო ჟურნალისტებს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა. ჯერჯერობით უცნობია, თუ მხარეებმა, როგორ ფორმაში გადაწყვიტეს განამტკიცონ შეთანხმება, რომელსაც დიპლომატების 18 თვის ტიტანური ძალისხმევის შემდეგ მიაღწიეს.



ვადის გაგრძელება ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი
კრედიტის/სესხის № IDA5245-GE; IBRD 8263-GE
პროექტის № P130413
დავალების სახელწოდება: საგზაო სექტორის დაფინანსების და ინსტიტუციური სტრატეგიის შემუშავება
საიდენტიფიკაციო № EWHIP-4/CS/ICS-06

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს გამოცდილ ინდივიდუალურ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატავად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **საგზაო სექტორის დაფინანსების და ინსტიტუციური სტრატეგიის შემუშავება.**

აღნიშნული დავალების მიზნების მისაღწევად, კონსულტანტმა უნდა განახორციელოს შემდეგი:

- საგზაო სექტორისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დანახარჯების ხარისხის გაუმჯობესება საბიუჯეტო დანახარჯების საერთო ტენდენციების გაანალიზებისა და სახელმწიფო ხარჯებისა და შესაბამისი ორგანიზაციების ეფექტურობის შეფასების გზით.
- 2000-2014 წლებში საგზაო სექტორში არსებული დანახარჯების მობილიზაციის, განაწილებისა და მართვის შეფასება, ბოლო ხუთ წელზე ფოკუსირებით. რეკომენდაციების შემუშავება საგზაო სექტორში ხარჯების ეფექტიანობის ასამაღლებლად.
- საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა საგზაო სექტორში სახელმწიფო ხარჯების პრიორიტეტების, ეფექტიანობისა და ეფექტურობის განსაზღვრაში. კვლევამ უნდა გაამახვილოს ყურადღება სამთავრობო და კერძო სექტორის როლზე როგორც გზების ინფრასტრუქტურის მიწოდების და დაფინანსების კუთხით, ასევე საქართველოში საგზაო სექტორის განვითარების და მართვის გაუმჯობესების მიზნით ინსტიტუციურ დონეზე საყოველთაო პოლიტიკისა და ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ანალიზის მიზანია საქართველოს ხელისუფლებას მიეცეს არაეფექტიანი სფეროების გამოვლენისა და მათი გამოსწორების შესაძლებლობა. ასევე კვლევა ქმნის ანალიტიკურ საფუძველს საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის სერვისების მიწოდების სფეროში სტრატეგიის შესამუშავებლად.

საგზაო სექტორის კვლევის დავალებას აქვს შემდეგი კონკრეტული მიზნები:

1. საგზაო სექტორში სახელმწიფო ხარჯების მოცულობის, შემადგენლობის, განაწილებისა და ათვისების მექანიზმების განსაზღვრა, ასევე ამ ხარჯების ეფექტიანობისა და ეფექტურობის შეფასება;
2. საგზაო სექტორში სახელმწიფო ხარჯების ადექვატურობის, მოცულობის, შემადგენლობის და ეფექტიანობის დასადგენად შიდასახელმწიფოებრივი, რეგიონალური და ადგილობრივი გზების დაფინანსებისა და მართვის მექანიზმების განსაზღვრა;
3. საგზაო სექტორში სახელმწიფო ხარჯების დაგეგმარების და ათვისების კუთხით ინსტიტუციური ურთიერთობების განსაზღვრა;
4. საგზაო სექტორში შემოსავლების (ხარჯების დაფარვის) ამჟამინდელი სტრუქტურის შეფასება, რაც უზრუნველყოფს საგზაო სერვისების მდგრადობას;
5. რეკომენდაციების შემუშავება რესურსების განაწილებასა და ეფექტიან ხარჯვაზე;

ანალიზის და რეკომენდაციების შემუშავების შედეგად განისაზღვრება სახელმწიფო და კერძო რესურსების მობილიზაციის, მოხმარებისა და მართვის ამჟამინდელი სტრუქტურა და მოიძებნება შემდგომი განვითარების გზები. გათვალისწინებული უნდა იქნას ის, რომ საგზაო სექტორის ხარჯები შეზღუდულია და უმეტესწილად ფინანსდება დონორი ორგანიზაციების მიერ. გამოკვლევის შედეგებმა უნდა გასცეს პასუხები შემდეგ ძირითად კითხვებს:

- რა მოცულობის და შემადგენლობის არის ის სახელმწიფო ხარჯები, რომელიც იხარჯება საგზაო სექტორში?
- როგორია და რამდენად ეფექტურია პროცესი, რომლის მეშვეობითაც ნაწილდება საგზაო სექტორში სახელმწიფო დანახარჯები?
- რამდენად ეფექტურია საგზაო სექტორის ამჟამინდელი დანახარჯები? ხარჯვის მოცემული დონით თუ მიიღწევა მაქსიმალური შედეგი, შესაძლებელია თუ არა დანახარჯის ამ მოცულობით უფრო მეტი შედეგების მიღწევა?
- ხარჯების დაფარვის რა მექანიზმები არსებობს, რომლის მეშვეობითაც შეიძლება დაფინანსდეს საგზაო სექტორის სერვისები? რამდენად ეფექტურია ეს მექანიზმები და თუ არსებობს სხვა მიდგომები სისტემის განვითარებისთის?
- პოლიტიკის შემქმნელებისთვის რა სახის რეკომენდაციები გახდის საგზაო სექტორში სახელმწიფო რესურსის ხარჯვას უფრო ეფექტურს?
- რეაბილიტირებულ გზებზე ტარდება თუ არა შესაბამისი პერიოდული მოვლა-შენახვის სამუშაოები? რა ფაქტორები განსაზღვრავს ადგილობრივი გზების ამჟამინდელი მდგომარეობას?

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება შესაბამის დარგში, სპეციალობით ტრანსპორტის ეკონომისტი; საგზაო სექტორში ინსტიტუციური განვითარების გამოცდილება; სულ მცირე 20 წლის პროფესიული გამოცდილება, სახელმწიფო ხარჯების ანალიზის ჩათვლით
- მსგავსი პროექტების ეფექტურად განხორციელების გამოცდილება ევროპულ და განვითარებად ქვეყნებში;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 4 თვე (ჯამში 60 კაც-დღე). დავალების დაწყების სავარაუდო დრო 2015 წლის მაისი/ივნისი.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მათ საკმარის კვალიფიკაციას და გამოცდილებას. კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემები (CV) უნდა მოიცავდეს მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალს და მოკლე აღწერილობას.

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების (2004 წლის გამოცემა, განახლებული 2011 წლის იანვარში) V ნაწილით -"ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევა - მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ. კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვის და მასზე თანდართული შრომითი ბიოგრაფიებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 14 აპრილის 15:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

Extension of Period for Expressions of Interest

Georgia

Forth East-West Highway Improvement Project
Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE
Project No. P130413
Assignment Title: Development of a Road Sector Financing and Institutional Strategy
Reference No. EWHIP-4/CS/ICS-06

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Forth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible individual consultants to express their interest in providing the following services: "Development of a Road Sector Financing and Institutional Strategy".

To achieve the objective of this assignment, the Consultant is expected to:

- Improve the quality of public spending on roads, by reviewing overall budgetary expenditure trends, and assessing the effectiveness of public spending and related institutions.
- Review the mobilization, allocation and management of expenditures in the road sector during the period 2000-2014, with a focus on the last five years. Make recommendations on how to improve the efficiency of spending on roads.
- Support the Government of Georgia (GoG) in improving the prioritization, efficiency, and effectiveness of public expenditures on road sector infrastructure. The STUDY will look at the role of the government and private sector in funding and delivering road infrastructure as well as on the overall policy and institutional framework for the sector development and management in Georgia. It is important to note that the main purpose of this analysis is to enable the GoG to identify areas of inefficiencies and how to address them. It will also provide an analytical basis to develop a strategy to improve the provision of road infrastructure services in Georgia.

The road sector STUDY has a number of specific objectives, including:

(1) to understand the size and composition, allocation, and implementation of public expenditure on road sectors as well as to assess the efficiency and effectiveness of these expenditures;
(2) to understand the road financing and management of national, regional and local roads, to the determine the adequacy, level, composition and efficiency of expenditure;
(3) to understand the institutional arrangements in the planning and execution of these expenditures;
(4) to examine the current revenue structure (cost-recovery) within the road sector that ensure the sustainability of services; and
(5) to provide recommendations on how resources could be allocated and used more efficiently.

The analysis and recommendations are intended to demonstrate how public and private resources in the road sector are currently mobilized, used and managed, and to recommend improvements. Recognizing that road spending has been limited and largely funded by donors. The results are expected to help provide answers to the following broad questions:

- What is the level and composition of public spending on road sectors?
- What is the process by which public expenditure on roads is allocated and spent and how effective is it?
- What is the efficiency of the current spending on road sector? For a given level of spending, are outputs being maximized or is there a more cost-efficient way to achieve similar outcomes?
- What are the cost-recovery mechanisms to finance road sectors services? How effective are they and are there options to further improve the system?
- What policy recommendations would enable more effective and efficient use of public funds in the road sector?
- Do new rehabilitated road sections receive adequate routine and periodic maintenance? What are the main reasons behind the deteriorated local roads condition?

Qualification Requirements:

- He/she shall have a relevant degree, professional qualification and be a transport economist with a strong road sector institutional development background.
- At least 20 years of professional experience, of which successful experience in developing expenditure reviews. He/She should specify country where similar project has been successfully undertaken.
- Knowledge and familiarity with the context of European and Developing countries are required.
- He/she should be highly proficient in English.

The estimated duration of assignment is a period 4 months, requiring 60 man-days starting from the date of commencement of services. The assignment is estimated to commence on May/June 2015.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

A consultant will be selected in accordance with the "Selection of Individual Consultants" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011 ("Consultant Guidelines") on the basis of substantial responsiveness of the best evaluated CV with respect to compliance with technical and other related aspects specified in the Terms of Reference.

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Expressions of Interest accompanied by CVs and other relevant information electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **April 14, 2015, 15:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08, ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

◎ წინ, საქართველო!

უმცროსი „ბორჯღალოსნები“ ევროპის ჩემპიონატის ფინალში ითამაშებენ!

საქართველოს 18-წლამდე ასაკის მორაგბეთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა, რაც ნამდვილად ისტორიული შედეგია. საფრანგეთში მიმდინარე ტურნირის ნახევარფინალში უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ იტალიასთან 6:6 ითამაშეს, „შუთ-აუთებში“ კი მეტოქეს 5:4 სძლიეს.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა მორაგბეებმა მეოთხედფინალური მატჩიც ფრედ დაასრულეს. მაშინ ირლანდიასთან ჯახი 8:8 მორჩა, დამატებითი დარტყმებში კი 3:1 მოვიგეთ.

ამჯერად იტალია 6:0 დაწინაურდა, თუმცა, მე-2 ტაიმში 2 საჯარიმო საქართველოს ნაკრებმაც გაიტანა და გამარჯვებულის გამოსავლენად ისევ 5-5 დამატებითი დარტყმა გახდა აუცილებელი, რომელშიც „ბორჯღალოსნებმა“ უფრო იყოჩაღეს.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი 4 აპრილს ტულუზაში გახლავთ დაგეგმილი, 18-წლამდე „ბორჯღალოსანთა“ მეტოქე კი მასპინძელი საფრანგეთი იქნება, რომელმაც ინგლისს 23:19 სძლია.

კოგა კოგახიძე

◎ ფეხბურთი

ნეიმარი — ევროპის 2014 წლის საუკეთესო ბრაზილიელი

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების და კატალონიის „ბარსელონას“ თავდამსხმელი ნეიმარი 2014 წლის Samba Gold-ის მფლობელი გახდა, რომელიც ევროპაში მოთამაშე საუკეთესო ბრაზილიელ ფეხბურთელს გადაეცემა ხოლმე.

აღნიშნულ დაჯილდოებას ყოველწლიურად ფრანგული ორგანიზაცია „სამბაფუუტ“ ახორციელებს. 23 წლის ფეხბურთელი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი პირველად გახდა. გასული სამი წლის განმავლობაში საუკეთესოდ ზედიზედ ტიაგო სილვა დაასახელეს. 2010 წელს მაიკონმა იმარჯვა, 2009-ში ლუიშ ფაბიანომ, ხოლო აღნიშნული ტიტულის პირველი მფლობელია რიკარდო კაკა.

ბრაზილიის ნაკრების კაპიტანმა საფრანგეთის წინააღმდეგ მოგებულ (3:1) შეხვედრაში 57-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა და ეს გოლი მისთვის „სელესაოს“ რიგებში რიგით 43-ე აღმოჩნდა.

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი ფეხბურთის მეფედ აღიარებული პელეა 77 გატანილი გოლით, რომელსაც კვალში მისდევენ რონალდო (62) და რომარიო (55).

ნეიმარს ნაკრებში დებიუტი 2010 წლი 10 აგვისტოს ჰქონდა და დღემდე 43 გოლი გაიტანა. პელემ 77 გოლის გატანა 14 წლის განმავლობაში მოახერხა. ევროპული მედია კი აღნიშნავს, რომ “ბარსელონას“ ვარსკვლავის პოტენციალიდან გამომდინარე, მას ფეხბურთის მეფის რეკორდის დამხობა შეუძლია.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭადრაკი

ფინალში მუზიჩუკი და პოგონინა იასპარეზობენ

დასასრულს მიუახლოვდა ქალ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ინდივიდუალური ჩემპიონატი, რომელსაც რუსეთის საკურორტო ქალაქი სოჭი მასპინძლობს. ფინალში ასპარეზობის უფლება მარია მუზიჩუკმა (უკრაინა) და ნატალია პოგონინამ (რუსეთი) მოიპოვეს.

ნახევარფინალური მატჩების სერიაში მუზიჩუკმა ჰარიკა დრონოვალი (ინდოეთი), ხოლო პოგონინამ გამოცდილი პია კრამლინგი (შვედეთი) დაამარცხა.

გუშინ ტურნირზე დასვენების დღე იყო. წინა მატჩებისაგან განსხვავებით, ფინალური სერია 4 კლასიკური პარტიისგან შედგება, რომელიც 2-5 აპრილის ჩათვლით გაიმართება. 2:2-ის შემთხვევაში გამარჯვებულს ტაი-ბრეიკის შეხვედრები გამოავლენს, რომელიც 6 აპრილსაა დაგეგმილი, 7 აპრილს კი ჩემპიონატის საზეიმო დახურვაა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩოგბურთი

ჯოკოვიჩ-ფერერის მეოთხედფინალი, მარეის მეხუთასე და ნიშიკორის ოთხეული

მაიამის „მასტერზ 1000“-ის მოქმედი ჩემპიონი ნოვაკ ჯოკოვიჩი მიმდინარე შეჯიბრების მეოთხედფინალში უკრაინელი ოლექსანდრ დოლგოპოლოვის 6:7, 7:5, 6:0 ძლევის შემდეგ გავიდა. ამ ეტაპზე „ნოლეს“ მეტოქე ესპანელი დავიდ ფერერი იქნება, რომელმაც ფრანგ ჟილ სიმონს სძლია.

ჯოკოვიჩისა და დოლგოპოლოვის მატჩი თითქმის 2 საათს გაგრძელდა. 27 წლის სერბმა 7 ბრეიკის რეალიზება მოახერხა და 9 ეისიც შეასრულა. საჩოგბურთო კარიერის განმავლობაში ჯოკოვიჩი მეოთხედ შეხვდა დოლგოპოლოვს და მეოთხედაც მოახერხა უკრაინელის დამარცხება.

მეოთხედფინალშია იაპონელი კეი ნიშიკორიც. აზიელმა ბელგიელ დავიდ გოფინს იოლად 6:1, 6:2 მოუგო და ნახევარფინალში გასასვლელად ამერიკელ ჯონ იზნერს დაუპირისპირდება. იზნერმა მეტად რთული ორთაბრძოლა მოუგო კანადელ მილოშ რაონიჩს — 6:7, 7:6, 7:6. ნიშიკორის რაც შეეხება, მან კარგად ისარგებლა მაიამიში შარშანდელი ფინალისტის რაფა ნადალის ადრეულ ეტაპზე წაფორხილებით და მომავალ ორშაბათს რეიტინგში მოწინავე ოთხეულში დაბრუნდება, რაფა კი მეხუთე საფეხურამდე დაქვეითდება.

შოტლანდიელმა ენდი მარეიმ მერვედფინალში სამხრეთაფრიკელ კევინ ანდერსონს 6:4, 3:6, 6:3 სძლია და პროფესიული კარიერის განმავლობაში მე-500-ე მოგება იზეიმა. მოქმედ ჩოგბურთელთაგან მარეიზე მეტი გამარჯვება როჯერ ფედერერს (1012), რაფა ნადალს (721), ნოვაკ ჯოკოვიჩს (625), დავიდ ფერერს (623), ლეიტონ ჰიუიტს (612), ტომი ჰაასს (561), ტომაშ ბერდიხს (506) და ტომი რობრედოს (505) აქვთ მოპოვებული.

ბადრი იაშვილი

◎ ჯვერჯეროობით — არაო!..

ლევან ყიფიანი პოსტზე რჩება

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა განაცხადა, რომ ის ესაუბრა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და ჩვეულ რიტმში განაგრძობს მუშაობას.

ლევან ყიფიანი (სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი): „ვესაუბრე პრემიერს და ვაგრძელებ მუშაობას ჩვეულ რიტმში. არასდროს არ მივცემ უფლებას, ვინც არ უნდა იყოს ის, პარლამენტარი, ოლიმპიური ჩემპიონი ან ვინმე სხვა, ხელი აფათუროს ფედერაციების საქმიანობაში. მე ვიქნები ის ადამიანი, რომელიც არ დაუშვებს ვიღაცეებმა ფედერაციებში ჩაყონ ცხვირი. ჩვენ საზოგადოებას პირობა მივეცით, რომ ფედერაციების საქმიანობაში არავინ ჩაერეოდა“.

რამდენიმე დღის წინ სპორტის საპარლამენტო კომიტეტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ კომიტეტის დასკვნა წარუდგინა. დოკუმენტში სპორტში არსებულ პრობლემებზე იყო საუბარი. დასკვნის შემდგენი პარლამენტარები პირდაპირ ლევან ყიფიანის გადადგომას არ ითხოვენ, თუმცა, აღნიშნავენ, რომ მინისტრის გადაყენება — არგადაყენების პრეროგატივა პრემიერ-მინისტრს ეკუთვნის.

ბეჭან დოლიძე

◎ კალათბურთი



ფაჩულიას პასი ტოპ-ათეულის პირველ ადგილზეა

ზაზა ფაჩულიას შედეგიანი გადაცემა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გასული კვირის საუკეთესო პასების ტოპ-ათეულში პირველ ნომრად შევიდა.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა ცენტრმა „მაიამი ჰითთან“ მატჩის ბოლო წამებზე სასწაული ბურთი შემოატრიალა, მისი გადაცემის შემდეგ კი კრის მიდლტონმა ზედ საფინალო სირენასთან ერთად სამქულიანი ჩააგდო და „მილუოკი ბაქსმა“ პრინციპული მატჩი მოიგო — 89:88.

ამ დროისთვის ფაჩულიას საშუალო მონაგარი 8.4 ქულა, 6.8 ჩაჭრა და 2.4 პასია (მარტში — 11.2 ქულა, 8.7 მოხსნა, 3.1 პასი და 1.3 ჩაჭრა) და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ უკანასკნელი 11 მატჩის განმავლობაში საქართველოს ნაკრების კაპიტანი ათ ქულაზე მეტს აგდებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

სანდრა მარინოვიჩმა პანდევი უარყო

სლოვენიელი მოდელი სანდრა მარინოვიჩი ბოლო დროს ევროპული ბულვარული მედიის საკბილო გახდა. ეს ტანკენარი გოგონა თურმე ცნობილ მაკედონიელ ფეხბურთელთან გორან პანდევთან ერთად რესტორანში ნახეს და ამ ფაქტს, ბუნებრივია, ჭორთა კორიანტელი მოჰყვა.

სანდრა მარინოვიჩი განმარტავს, რომ ის გორან პანდევს ნამდვილად იცნობს და რესტორანშიც იყო მასთან ერთად, თუმცა, მათ გარდა, იმ დიდ „პურიჭამაზე“ გორანისა და მისი მეგობრებიც იმყოფებოდნენ და საერთოდ, მარინოვიჩის თქმით, პანდევის ინტერესის საგანს არა ის, არამედ სულ სხვა ქალი წარმოადგენს.

სანდრა მარინოვიჩის სიტყვები შესაძლებელია სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ მოდით ამ „ყვითელ“ მოკალმეებსაც გავუგოთ. როგორ გინდა ჭორის დასაწერად არ წაგიცდეს ხელი, როდესაც აღმოაჩენ, რომ ცნობილი ფეხბურთელი ასეთ ხელიხელსაგოგმანებ ქალთან ერთად ნახე. სკანდალი სხვა კი არაფერია?!...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ პური ჩვენი არსებისა

„შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს და პური გააძვირეს!“

მთავრობას გაზის მიმწოდებელ კომპანიებთან კონსულტაცია დაწყებული აქვს და მაისამდე ბუნებრივი აირის ტარიფის მატება გადავადებულია. შემდეგ კი ხელისუფლება პურის საცხობებისთვის შეღავათების დაწესებას ითხოვს. თუ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, პურზე ფასის მატება გარდაუვალი იქნება. ორიოდე კვირის წინათ 3-5 ლარით გაძვირდა 1 ტომარა ფქვილიც. ამ აჟიოტაჟით ზოგიერთმა მეწარმემ ისარგებლა და პური გააძვირა. მოგვიანებით, ფქვილიც შედარებით გაიაფდა, გაზის გაძვირებაც გადავადდა, მაგრამ პროდუქცია აღარავის გაუიაფებია.

პურის მწარმოებელი კომპანიები მხოლოდ ბაზრის ერთ-ერთი სეგმენტია, რომელზეც ტარიფის ცვლილება აისახება. გაზის გაძვირება ყველა იმ პროდუქტს შეეხება, რომლის წარმოებისთვის ბუნებრივი აირია საჭირო. თუმცა, ამ ეტაპისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ პურპროდუქტების სეგმენტია.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია ამტკიცებს, რომ პურის ფასი არ მოიმატებს. „პურ-ფუნთუშეული აქამდე არ გაძვირებულა და არც მომავალში გაძვირდება“, - ამბობს მინისტრი.

სულ სხვა შეხედულება აქვთ იმ მეწარმეებს, რომლებმაც პურ-ფუნთუშეულის ფასის გაძვირების მიზეზად ფქვილის გაძვირება დაასახელეს. ნედლეულის ფასის ზრდა კი პირდაპირ უკავშირდება ლარის კურსის დევალვაციას.

იმ ფონზე კი, როცა იურიდიული პირებისთვის გაზის საფასური ჯერ არ გაზრდილა, ხოლო პურის ფქვილის ფასი შემცირდა, ექსპერტებისთვის პურ-ფუნთუშეულის გაძვირების მიზეზი გაუგებარია.

მეხორბლეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ლევან სილაგავა კატეგორიულად გამორიცხავს ფქვილის მიზეზით პურის გაძვირებას.

„დღეს ბაზარზე ერთი ტომარა ფქვილის ფასი 38-39 ლარია. როგორც ჩანს, ზოგიერთი მეწარმე შექმნილი აჟიოტაჟით სარგებლობს და პურს აძვირებს. ქარხნები და საცხობები დოლარის კურსთან მიბმული არ არის. ფქვილი დოლარში არ იყიდება. ჩვენ ფქვილს მეწარმეებს ლარში ვაწვდით. მხოლოდ წისქვილკომბინატებს ექმნებათ პრობლემა, რადგან იქ დოლარში ნაყიდი ხორბალი შედის. შესაბამისად, პურპროდუქტზე დღეს არსებული ფასი პურის ფქვილის ფასთან შესაბამისობაში არ არის“, — აცხადებს სილაგავა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყაროს“ ხელმძღვანელი ზურაბ ფუტკარაძე ადასტურებს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში პურის ფქვილი მართლაც გაძვირდა და 1 ტომარის ფასმა 4-5 ლარით მოიმატა. ამიტომაც საცხობებმა პური 10 თეთრით გააძვირეს, ფქვილის გაიაფების შემდეგ კი საცხობების დიდმა ნაწილმა პროდუქციაზე ფასი აღარ შეამცირა.

„ფქვილის გაძვირების მომენტშიც კი პროდუქციაზე ფასი არ უნდა გაეზარდათ, რადგან საქართველოში ფქვილის საკმარისი მარაგი გვაქვს (ივლისამდე), რომელიც ძველ ფასშია შეძენილი. რა იქნება ახალი მოსავლის შემთხვევაში, სექტემბერ-ოქტომბრიდან ფასი მოიმატებს თუ არა, ამაზე საუბარი ჯერ ადრეა. ზოგიერთი მეწარმე არაკეთილსინდისიერებას იჩენს. ეს ნამდვილი ბიზნესის წარმოება არ არის. თვალთმაქცობაა, როცა ნედლეული, ინვენტარი არ გაძვირებულა, მაგრამ პროდუქციას მაინც აძვირებ“, — აცხადებს „ბიპიენთან“ საუბრისას ზურაბ ფუტკარაძე.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი ომარ კაჭარავაც აღნიშნავს, რომ კომპანიებმა პური თვითნებურად გააძვირეს. მისი ინფორმაციით, საქართველოში ხორბლისა და ფქვილის ისეთი ხანგრძლივი პერიოდის მარაგია, რომელიც არავითარ საშიშროებას არ ქმნის იმ თვალსაზრისით, რომ პურპროდუქტების სფეროში განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნას.

ბექა დანელია

◎ ჟურნალისტის ბოდიში

ჩემს პუბლიკაციაში — „ბრძოლის ველზე ერთიც მეომარია“, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის“ მეოთხე გვერდზე დაიბეჭდა პირველ აპრილს, პირადად მე მომივიდა უნებლიე კალმისმიერი შეცდომა, რის გამოც ბოდიშს ვუხდი როგორც რედაქციასა და მკითხველებს, ისე ჭეშმარიტად ნიჭიერ ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს ირმა ინაშვილს, რომელიც რატომღაც ირინედ მოვიხსენიე. არადა, მას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ტელევიზიაში ჩემი მუშაობის პერიოდიდან ვიცნობ და ახლაც თვალნათლივ მახსოვს, როგორ დაცქრიალებდა იმდროინდელ ერთადერთ ტელევიზიაში სიცოცხლითა და ბრძოლის ჟინით აღსავსე ირმა.

ალექსანდრე შენგელია

ინფორმაცია ს.ს. „გზის მშენებელი №11“-ის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

ს.ს. „გზის მშენებელი №11“-ის წარმომადგენელი შპს „იბერია“ გაცნობებთ, რომ 2015 წლის 24 აპრილს 12:00 საათზე გაიმართება ს.ს. „გზის მშენებელი №11“-ის (ს/ნ 208 172 145) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება მისამართზე: თბილისი, სამგორის რაიონი, სადგური ლილო.

დღის წესრიგი:

1. წესდებაში ცვლილებების შეტანა;
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ვადამდელი გაწვევა, ახალი გაწვევა და ახალი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა.

აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილე აქციონერი რეგისტრირებული უნდა იყოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორ „ეროვნულ რეესტრში“.

სულთათანა

აკადემიკოს ლევან მახვილაძის გახსენება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საერთაშორისო და რუსეთის საინჟინრო აკადემიების, საქართველოს ნაციონალური და სოციალური ურთიერთობების, უდმურტეთის საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საპატიო პრეზიდენტი **ლევან მახვილაძე** რვა ათეულ წელზე მეტი ემსახურებოდა ქართულ სამშენებლო საქმეს, მას უნდა ვუმადლოდეთ სამშენებლო კონსტრუქციების, წარმოების ტექნოლოგიის საკითხების თანამედროვე მეთოდებით, სამშენებლო და ენერგორესურსების დაზოგვის ოპტიმალურ გადაწყვეტას.



ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში იგი ახალი სისტემის შენობა-ნაგებობების, მრავალსართულიანი შენობების, წინასწარდაძაბული ბეტონისა და რკინაბეტონის, დიდმალიანი გადახურვების, რეზერვუარების, არსებული შენობების სეისმომედეგობის ამაღლების, ავარიული სახლების რეკონსტრუქციის ტექნოლოგიებისა და სხვა ბევრ საინტერესო საკითხების უზრუნველყოფაზე მუშაობდა.

სახელმწიფომ დააფასა ლევან მახვილაძის შრომა. „მეოცე საუკუნის გამოჩენილი ინჟინერი“, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დაჯილდოებული იყო ღირსებისა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტთა საბჭოს ორდენით, სამეცნიერო პრემიით, სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებისათვის ვერცხლისა და ოქროს მედლებით, საპატრიარქოს სიგელით.

ბატონი ლევანი იყო ერუდირებული, უდიდესი ინტელექტისა და კულტურის მქონე ინჟინერ-მშენებელი, თავისი საქმის ბრწყინვალე სპეციალისტი, კარგი ადამიანი და კოლეგა, რომელსაც დიდი სიყვარულით მოიხსენიებს ყველა. არასოდეს ამბობდა უარს, თავისი მდიდარი გამოცდილება გაეზიარებინა კოლეგებისთვის, იყო მრავალი ახალგაზრდა მშენებლის აღმზრდელი და დამრიგებელი, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც ჰქონია ურთიერთობა ბატონ ლევანთან და მისი სიმპათია და სიყვარული არ დაემსახურებინოს!

ლევან მახვილაძის მეგობრულ და სათნო ხასიათს, დახვეწილ ინტელიგენტობას თან სდევდა სამაგალითო პრინციპულობა. მეცნიერებით ცხოვრობდა, აზროვნება მუდამ საკვლევი პრობლემებით ჰქონდა დატვირთული. მასთან ურთიერთობა არ იყო ადვილი, მისი ემოციური ხასიათი მუდამ დადებით გადაწყვეტილებაში გამოიხატებოდა.

ბატონი ლევანი ყოველთვის იქნება ჩვენთვის როგორც კეთილსინდისიერების, გულისხმიერების, პროფესიონალიზმის, სითბოსა და სიყვარულის მაგალითი. შინაგანი სინათლით გასხივოსნებული ბატონი ლევანის, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერის, შესანიშნავი მამულიშვილის ხსოვნა მარად დარჩება მის მეგობრებს შორის.

საქართველოს საინჟინრო აკადემია

◎ ინფორმაცია

ონის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირება დაიწყო

ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დირექტორი მამუკა კობახიძე, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის გუბერნატორი პარმენ მარგველიძე ონის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების სამუშაოების დაწყებას დაესწრნენ. კახა კალაძემ ონში შეკრებილ მოსახლეობას სიტყვით მიმართა.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ ქალაქ ონის და ონის მუნიციპალიტეტის სოფლების ხურუთის, ლაჩთას, შეუბანის, ღარის და ნიგვზნარას სრული გაზიფიცირების მიზნით „სორი-ონის“ 12 კმიანი გაზსადენისა და შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობა დაევალა. ჯამში 67 კილომეტრის სიგრძის გაზსადენი აშენდება.

ამ ეტაპზე იწყება „სორი-ონის“ 12 კილომეტრი მკვებავი გაზსადენის სამშენებლო სამუშაოები. ასევე მიმდინარეობს ქალაქ ონის და მისი მიმდებარე სოფლების (ხურუთის, ლაჩთას, შეუბანის, ღარის და ნიგვზნარას) გაზიფიცირების საპროექტო სამუშაოები, რომელთა დასრულების შემდეგ გაზიფიცირების სამშენებლო სამუშაოები დაიწყება. განხორციელებული სამუშაოების შედეგად ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 2 366 ოჯახს მიეცემა.

ქალაქ ონისა და მისი მიმდებარე სოფლების სრული გაზიფიცირების სამუშაოების დასრულება 2015 წლის ოქტომბრისთვის იგეგმება.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, გაზიფიცირების მიზნით ბიუჯეტიდან გამოიყო 20 მლნ ლარი.

განცხადება

2015 **წლის** 28 აპრილს დღის 11 საათზე დანიშნულია სააქციო საზოგადოება „ყვარლის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2014 წლის წლიური ფინანსური შედეგების განხილვა;
2. სხვადასხვა საკითხები.

სს „ყვარლის“ ადმინისტრაცია

მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №72.

სულთათანა

ჯუფარი მკერვალიშვილი

ჩვენო ძვირფასო და დაუვიწყარო ჯუფო, ძალიან გვიმძიმს უშენობა. ან კი რა დაგვავიწყებს შენს სიკეთეს, გულითადობას, უბრალოებას და ნათელ ღიმილს.

2 აპრილს პირველად ვხვდებით უშენოდ... დღეს ხომ შენი დაბადების დღეა. გილოცავთ, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, ჩვენო დაუვიწყარო იმედო და სიხარულო. როგორ გიხაროდა ეს დღე. თვალწინ გვიდგას შენი სიტყვები: „რა ბედნიერებაა, ყველანი ერთად ვართო!“ ყველაფერში სამაგალითო იყავი, სამაგალითო შვილი, მეუღლე, დედა, ბებია და ჭეშმარიტი მეგობარი.

2 აპრილს მოვალთ შენს საფლავზე და გაზაფხულის ყვავილებს მოგიტანთ. შენ ხომ ჩვენი ოჯახების, ჩვენი სამეგობროს, ჩვენი გულების გაზაფხული იყავი! გვჯერა, რომ ზეციური საქართველოდანაც ჩვენი კეთილდღეობისთვის, ჩვენი ჯანმრთელობისთვის, ჩვენი სიცოცხლისთვის ილოცებ.

ღმერთმა შენი მონაგარი და მოკეთე აბედნიეროს, შენს სათაყვანებელ საქართველოს კი მარადიული მშვიდობა დაუმკვიდროს!

უფალმა გაანათლოს შენი ლამაზი, უკვდავი სული.

მურთაზ აბაიაძე, მზია მკერვალიშვილი-ნინუა, ვალიკო მკერვალიშვილი, რეზო ალექსიძე, ლევან ჭელიძე, გივი ჭიჭინაძე, ოთარ აბაიაძე ოჯახებით.

შვილები სერგო, რეზო, ვლადიმერ მესხები, რძლები მეგი არველაძე, ბელა ჯანელიძე, ინგა კობაიძე, შვილიშვილები ლაშა, ირაკლი, თაკო, დავით მესხები, შვილთაშვილი ლუკა მესხი, ახლო ნათესავები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ეთერ სერგოს ასულ ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 IV, 16 სთ. ქ. წყალტუბო, ყაზბეგის მე-6 შესახვევი 13, გამოსვენება 4 IV, 15 სთ. წმინდა გიორგის სახ. ეკლესიიდან.

გერმანული კომპანია „მარტინ ბაუერის“ და შპს „გეოპლანტის“ თანამშრომლები გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ ადმინისტრაციის დირექტორს ბატონ ვლადიმერ მესხს, მის ოჯახსა და ახლობლებს დედის

ეთერ ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო.

შვილები ზვიადი, გოჩა, რძლები ნინა, მანონი, შვილიშვილები ცაგო, გიორგი, ელენე, ქეთი, კირა, მძახლები მელორი, ციცინო ტყეშელაშვილები, გურამ კალანდაძე, კირა ანდრონიკაშვილი მწუხარებით იუწყებან, რომ გარდაიცვალა

ბენო (ბენიამინ) ყანჩაველი

პანაშვიდი 2, 3 IV, 17 სთ. მის: წყნეთი, ფიროსმანის ქ. 25. გამოსვენება 4 IV, ვაკის სამების ტაძრიდან, 14 სთ.

◎ თარიღი

„მათეს ვნებანის“ სახარება

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორი, კლასიკური მუსიკის უმშვენიერესი ტაძრის უმძლავრესი სვეტი იოჰან სებასტიან ბახი, ასევე მუსიკოსის იოჰან ბახის ოჯახში, 330 წლის წინათ, 1685 წლის 21 მარტს დაიბადა. მას „ჰარმონიის მამამთავრის“ საპატიო ტიტული მიანიჭეს.

„ბახი“ – ნამდვილად ჟღერადი და მუსიკალური გვარია – „Bach“ გერმანულად „ღელეს“ ნიშნავს. თუმცა კი კლასიკური მუსიკის მეორე გერმანელ ტიტანს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენს ეს აშკარად ეცოტავებოდა: „მისი სახელი ღელე კი

არა, ზღვაა, ზღვა!“ სავსებით შეესაძლებელია, თავად ბახს, რომელიც საკმაოდ ტანსრული და მხიარული კაცი იყო, ამ თქმაზე გულიანად გასცინებოდა. მან ხომ მშვენივრად იცოდა თავისი გვარის მნიშვნელობა. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, საგანგებოდ სამეგობრო თავყრილობისთვის, მან ერთგვარი მუსიკალური ხუმრობა შეთხზა – მოჭარბებულად ანც ატონალურ მუსიკას, შეზარხოშებული ქორო ახლდა: „საფუარი ცომი! საფუარი ცომი! საფუარი ცომი!“ „საფუარი ცომი!“ კი გერმანულად „Bachtrog“-ია, რომელიც ბახს ერთგვარად ერითმება. როგორც ჩანს, ეს სიტყვა ოიჰანმა თავისი წინაპრის, უნგრელი გერმანელის ვიტუს ბახის პატივსაცემად გააჟღერა, რომელიც მეფუნთუშე იყო.

სხვათა შორის, ნათესაურმა გრძნობებმა იოჰან სებასტიანს რამდენიმე დიდად პოპულარული, როგორც ახლა იტყოდნენ, „ჰიტური“ ნაწარმოები შეაქმნევინა. მათ შორის უდავოდ გამორჩეულია „საყვარელი ძმის გამოსათხოვარი კაპროჩო“, რომელსაც დიდი კომპოზიტორის ჭეშმარიტად „სადარბაზო ბარათივით“ – „ტოკატა ლა მინორი და ფუგასავით“ ხშირად ასრულებენ ხოლმე, მისი შექმნის ამბავი კი ერთობ საგულისხმოა.

იოჰან ბახის უფროსი ძმა იაკობი შვედეთის მეფის კარლოს XII გვარდიის ორკესტრში ჩაირიცხა, რადგან საყვირსა და ჰობიოზე ჩინებულად უკრავდა. „კაპრიჩოც“ იოჰანმა სწორედ მის ჯარში გამგზავრებას უძღვნა, თუმცა კი, იაკობის სამსახური მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, სამაგიეროდ, ისტორიაში შევიდა: მას მხოლოდ რამდენიმე ნოტის დაკვრა მოუხდა – სწორედ მან მისცა შვედეთის ჯარს პოლტავასთან ბრძოლაში იერიშის დაწყების ნიშანი, რომელიც მისი სასტიკი მარცხით დასრულდა...

საყურადღებოა, რომ სიცოცხლეში ბახს გაცილებით დიდ პატივს მიაგებდნენ არა როგორც კომპოზიტორს, არამედ როგორც შესანიშნავ შემსრულებელ ორღანისტს, თუმცა კი, მისი გარდაცვალების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

საგულისხმოა, რომ **დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ ნიცშე სულაც მიიჩნევდა, რომ იოჰან სებასტიან ბახს მუსიკასთან, როგორც ასეთთან, არანაირი კავშირი არა აქვს, რადგან მისი მოღვაწეობა არა მიწიერი, არამედ უზენაესი რიგისაა: „ვუსმენდი ღვთიურ ბახს. მისი „მათეს ვნებანი“ კიდევ ერთი სახარებაა“.**

ბევრი მკვლევრის აზრით, ნიცშე მართალია. ტყუილად როდია, რომ იოჰან ბახის გარდაცვალების გარემოებები ესოდენ შთამბეჭდავია: სიცოცხლის ბოლო დღეებში იგი ქორალურ ფანტაზიაზე „შენი ტახტის წინაშე წარვდგები მე“ მუშაობდა. კომპოზიტორის ვაჟიშვილის კარლ ფილიპ ემანუელის თქმით, **მან ნაწარმოებში თავისი გვარი შეიტანა: მუსიკალურად თანმიმდევრულად B-A-C-H-ს ნოტების „სიბემოლ-ლა-დო-სი“-ს მიყოლება იძლევა. იოჰან სებასტიან ბახმა სწორედ მაშინ დალია სული, როცა ეს თანმიმდევრობა ჯერ პირდაპირ, შემდეგ კი კონტრაპუნქტით – უკუღმა ჩაწერა.**

ნინო ალექსანდრია

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები აპრილში

აპრილში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 1,4,8-12, 15-21, 26, 29 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია გრიგალებისა და ციკლონების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის ზრდა, სოციუმში სეისმოაქტივობისა და დაძაბულობის გაძლიერება.

4 – სავსე მთვარე, მთვარის დაბნელება. საალბათოა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, განსაკუთრებით თირკმლების, შარდის ბუშტის, კუჭქვეშა ჯირკვლისა. არ არის გამორიცხული თავის ტკივილები, უძილობა, რადიკულიტის შეტევები. აუცილებელია ვაკონტროლოთ არტერიული წნევა, გავუფრთხილდეთ გულს, ვერიდოთ დიდ ფიზიკურ და ემოციურ დატვირთვებს. მთვარის დაბნელებამდე ერთი საათით ადრე, რომელიც 15.01 მოხდება, სასურველია, მივიღოთ კონტრასტული შხაპი.

კარგია, დღე გავატაროთ მშვიდ ვითარებაში, მოწევის, ალკოჰოლისა და ცხოველური საკვების გარეშე.

8 – მთვარე-სატურნის შეერთება მშვილდოსანში. შესაძლებელია, ცუდი განწყობილება უამრავი საზრუნავის, დაძაბულობისა და პასუხსაგები მუშაობის გამო. არ არის გამორიცხული ღვიძლთან, სისხლთან, სისხლძარღვებთან და ნერვულ სისტემებთან დაკავშირებული პრობლემები. ერიდეთ გაციებას, ტრავმატიზმს, მძიმე ფიზიკურ დატვირთვებს, ცხიმიან და ცხარე საკვებს.

სასარგებლოა სუნთქვითი ვარჯიშები, მასაჟი (ექიმთან შეთანხმებით), მსუბუქი გასეირნება.

11– მთვარის პლუტონთან შეერთება თხის რქაში. შეიძლება, გაჩნდეს შიშის, მარტოობის, დიდი დაღლილობისა და ძლიერი პასუხისმგებლობის გრძნობა ახალი ნაკისრი ვალდებულებების გამო. საალბათოა რევმატიზმის, ართროზისა და ართრიტის გამწვავება, ტკივილები ღვიძლში, თირკმლებსა და შარდის ბუშტში ქვების გამო. არ არის გამორიცხული დერმატოლოგიური და სტომატოლოგიური დაავადებანი.

სასარგებლოა კანის მოვლა, სამკურნალო ფიზკულტურა, სისხლძარღვების დაავადებათა გამწვავების დროს სხეული გვქონდეს თბილად.

12 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი. შესაძლებელია განწყობილების ხშირი ცვლა, კაპრიზულობა, გაღიზიანება, დაბნეულობა. შეიძლება, გაჩნდეს ნერვული მოშლილობა, ინფექციური დაავადებანი, თავბრუსხვევა, გულის სისუსტე. არ არის გამორიცხული თრომბოფლებიტის გამწვავება. ხელსაყრელი დროა სწავლისთვის, ინტელექტუალური საქმიანობისთვის, დასვენებისთვის, ძალების აღდგენისთვის.

15 – მთვარის ნეპტუნთან შეერთება თევზებში. შეინიშნება დიდი მგრძნობელობა გარემობუნების გავლენისადმი. შესაძლებელია, გაციებითი დაავადებანი, ფსიქიკურ, ენდოკრინულ და კანის დაავადებათა გამწვავება, შეშუპება, ტკივილები ტერფებში. არ არის გამორიცხული ალკოჰოლით ან შხამიანი სითხეებით მოწამვლა.

სასარგებლოა გამწმენდი და წყლის პროცედურები, ტერფების მასაჟი.

18 – ახალი მთვარე, მთვარის ურანთან შეერთება ვერძში. მოსალოდნელია ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება. შეიძლება, შეინიშნებოდეს გაღიზიანებულობა, მოუთმენლობა, კონფლიქტურობა. შესაძლებელია თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, ცუდი ძილი. არ არის გამორიცხული კრუნჩხვები და სპაზმები ფეხის კუნთებში, ტკივილები ტერფებში. სასურველია, უარი ვთქვათ ყავასა და შოკოლადზე, მოწევაზე, ცხიმიან და ტკბილ საკვებზე. არ არის ხელსაყრელი დღე ახალი საქმეების, ოპერაციების წამოსაწყებად, აცრებისთვის – ორგანიზმი მაქსიმალურადაა დასუსტებული. ერიდეთ დაცემებს, ნუ იჩქარებთ, ნუ იღელვებთ.

დაიცავით ძილისა და დასვენების რეჟიმი, სვით სუფთა წყალი, შეასრულეთ ფიზიკური ვარჯიშები, ისეირნეთ.

19 – მთვარის შეერთება მერკურთან და მარსთან კუროში. შესაძლებელია ძალების დაქვეითება, თავის ტკივილები, მშფოთვარე ძილი. საალბათოა მწვავე ანთებითი დაავადებანი. ერიდეთ ტრავმებსა და უბედურ შემთხვევას წინდაუხედაობის და იმპულსური მოქმედებების გამო. გაუფრთხილდით ხელებს, რომ არ დაგეწვათ და არ გაგეჭრად, თავს, რომ არაფერი მოგხვდეთ.

სასარგებლოა წყლის პროცედურები, მცირედი შეზღუდვები კვებაში.

21 – მთვარის ვენერასთან შეერთება ტყუპებში. შეიძლება, გაჩნდეს ზედმეტი მიდრეკილება ურთიერთობისკენ, გართობებისკენ, შესაძლებელია ქოშინი, შეშუპება, არტერიული წნევის ვარდნები, შეიძლება, გაჩნდეს ყელის, ფარისებრი ჯირკვლის, სასუნთქი ორგანოების დაავადებანი. არ არის გამორიცხული ხელის სახსრებისა და მხრების დაავადებანი, ოსტეოქონდროზის გამწვავება.

ხელსაყრელი დროა ინტელექტუალური საქმიანობისთვის, საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის, კავშირურთიერთობების მოწესრიგებისთვის, თეატრში ან ვერნისაჟზე წასვლა. სასარგებლოა წყლის პროცედურები, სუნთქვითი ვარჯიშები, გასეირნებანი.

26 – მთვარის პირველი მეოთხედი, მთვარის იუპიტერთან შეერთება ლომში. ძლიერდება საკუთარი მნიშვნელობის გრძნობა, ჩნდება სურვილი, გავცეთ ბრძანებები და ვიყოთ ხელმძღვანელი, შეიძლება, გაიზარდოს გაღიზიანება და ფეთქებადობა. შეიძლება გულის, სისხლის მიმოქცევის დაავადებათა გამწვავება, ჩნდება ტკივილები ზურგში. არ არის გამორიცხული უძილობა, რადიკულიტის შეტევები. არ შეიძლება სიმძიმეების აწევა, გულისა და ხერხემლის გადატვირთვა. იყავით ფრთხილად საჭესთან და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოძრაობის დროს. რეგულარულად გაიზომეთ არტერიული წნევა, ერიდეთ სტრესებს, უარი თქვით ალკოჰოლზე, ცხარე და ცხიმიან საკვებზე.

სასარგებლოა სუნთქვითი ვარჯიშები, სამკურნალო ვარჯიში, მსუბუქი გასეირნება სუფთა ჰაერზე.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

როგორ ვიპოვოთ ცხოვრებაში ჩვენი ოცნების ქალი და რა უნდა ვუყოთ მერე ამ „თავის ტკივილს“?

* * *

სუფთა სინდისი სკლეროზის უპირველესი ნიშანია.

* * *

გამოუცდელი ქალიშვილებისგან კაცმა ბევრი რამე შეიძლება ისწავლოს.

* * *

მმართველობის ოქროს წესი: ყველა კომპანიაში არის კაცი, რომელსაც მშვენივრად ესმის, თუ რა ხდება სინამდვილეში. ჰოდა, პირველ რიგში სწორედ ის უნდა დაითხოვოთ სამსახურიდან.

* * *

რჩევები დიასახლისებს:

სადარბაზოში შარდის უსიამო სუნის გაქრობა შემოსასვლელ კარზე ჩვეულებრივი კოდური საკეტის დაყენებით შეგიძლიათ;

თუკი თაგვის სოროს შესასვლელს გარშემო ფოსფორს წაუსვამთ, მაშინ მთელი ღამის განმავლობაში ამ მეტად საყვარელი ცხოველების თამაშებით ტკბობა შეგეძლებათ. იმავეს გაკეთება ტარაკნების ბუდეებზეც შეგიძლიათ.

* * *

– **რას** შვრება შენი ქმარი, ცისანა?

– რას შვრება და ძილში ლაპარაკობს, ყველაფერს იხსენებს, რაც დღის განმავლობაში გააკეთა!

– ჩემი კი მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებს!.. ნაძირალა!..

* * *

– **ბიჭიკო**, ძვირფასო, დედაჩემს ავტობუსი დაეჯეხა და ადგილზევე გარდაიცვალა!

– ჩემო კარგო, გეყოფა, ნულარაფერს მეტყვი, თორემ ტუჩები ქარისგან დახეთქილი მაქვს და რომ ვიცინი, სისხლი მომდის!

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24